ვლადიმირ ჟირინოვსკი ერაყის ოკუპაციას ითხოვს A2

პარლამენტმა ინტერფრაქციული ჯგუფის პარალიზება მოახერხა A2

პაციფისტების ბოლო მცდელობა A3

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

კვირა, 16 მარტი, 2003 წელი. №73 (285)

ფასი 50 თეთრი

## ქართველებს ღვინის ხარისხს გერმანელები დაუდასტურებენ

სოფიკო ოხანაშვილი

*მიმდინარე წელს ქართულ-გერმანული ერთობლივი პროექტის – "ღვინის ხარისხის სისტემის შექმნა" – ფარგლებში საქართველოში ფუნქციონირებას დაიწყებს ევროკავშირის მიერ აკრედიტებული ლაბორატორია, რაც ქართულ ღვინოს ევროპის ქვეყნების ბაზრების ათვისებაში შეუწყობს ხელს. როგორც პარასკევს გამართულ პრეზენტაციაზე გამოიკვეთა, პროექტის მიზანია, საქართველოში შეიქმნას ღვინის ხარისხის გარანტიის სისტემა, რომლის ერთ-ერთი წინაპირობა იქნება ევროკავშირის მიერ აკრედიტებული ლაბორატორიის არსებობა.*

ღვინის ხარისხის სისტემის შექმნის საქმეში პარტნიორები არიან: ქართული მხრიდან სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ხოლო გერმანული მხრიდან ტენდერში გამარჯვებული კომპანიები - AFC Consultants International Gmbh და IAK AGRAR CONSULTING Gmbh, რომლებიც აღნიშნულ პროექტს გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების GTZ-ის დაკვეთით განახორციელებენ. პროექტის ფარგლებში გერმანული მხარის ფინანსური მონაწილეობა, დაახლოებით, ერთი მილიონი ევროთი შემოიფარგლება. საქართველოს, როგორც პარტნიორი ქვეყნის, ფუნქციებში შედის ლაბორატორიის ტექნიკური აღჭურვა, ტექნიკის დამონტაჟება, პერსონალის მომზადება და სამი წლის განმავლობაში ლაბორატორიის მუშაობისათვის თვალყურის დევნება. რაც შეეხება

გაგრძელება A3 გვერდზე

# სიკეთე "აკადემიურად"



დასაჩუქრებული

ლელა მარგიანი

*თბილისში, ორი წელია, ფუნქციონირებს "ამერიკული აკადემია", რომლის დამფუძნებელი ამერიკაში მოღვაწე ცნობილი ქართველი ბიზნესმენია - გივი ზალდასტანიშვილი. "აკადემიის" მოსწავლეები და მასწავლებლები გლდანის მეორე დამხმარე სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელებთან მეგობრობენ; მასწავლებლებმა რვა იქაური ბავშვი მონათლეს კიდეც.*

"მე მორწმუნე ადამიანი ვარ. მგონია, რომ ჩვენ საზოგადოებას რელიგიურობის ცხოვრების წესთან შერწყმა აკლია. მართლმადიდებელი ქართველები წარსულში უფრო ეხმარებოდნენ გაჭირვებულებს - წესად ჰქონდათ, დიდმარხვის ყოველ შაბათს გაჭირვებულთა, ობოლთა დახმარება. სწორედ ამიტომ, დიდმარხვისას ვესტუმრეთ სკოლა-ინტერნატს და ჩვენი მოსწავლეების მიერ ოჯახებიდან წამოღებული ტანსაცმელი, სათამაშოები, სასწავლო ნივთები და ტკბილეული ჩამოვუტანეთ,"- გვითხრა "ამერიკული აკადემიის" ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა, ნინო ღამბაშიძემ.

გლდანის მეორე დამხმარე სკოლა-ინტერნატში ბავშვებს, უმეტესად, გონებრივი ჩამორჩენილობის დიაგნოზით ათავსებენ. იქ ამჟამად 187 (სამიდან თვრამეტ წლამდე) ბავშვი ცხოვრობს. ბევრს მშობლებიც ჰყავს, მაგრამ ოთხმოცამდე ბავშვი სკოლა-ინტერნატის მუდმივი მაცხოვრებელია. როგორც ინტერნატის დირექტორმა, მარინა უჯმაჯურიძემ გვითხრა, ჰყავთ ე.წ. "დიდი ბავშვებიც", ვისაც ასაკით აღარ ეკუთვნის აქ ყოფნა, მაგრამ ვინაიდან ობლები არიან,

გაგრძელება A4 გვერდზე

### კულტურა

## რეჟისორი, რომელიც არ ლაპარაკობს

60-70-იანი წლების მიჯნაზე ბერტოლუჩი იტალიურ პოლიტიკურ კინოს მიემხრო. მისი ყველაზე ცნობილი და სკანდალური ფილმიც, "პარიზის უკანასკნელი ტანგო" 1972 წელს იყო გადაღებული...

A5

### სპორტი

## გერმანელი ტელემაყურებლის უკმაყოფილება

ჩვენთან შედარებით, გერმანელი სპორტის მოყვარულები ნამდვილად დაჩაგრულები არიან - გერმანიაში ჩემპიონთა ლიგის პირდაპირი ტელეტრანსლაციის ხილვა მხოლოდ ოთხშაბათობითაა შესაძლებელი, სამშაბათის მატჩს ტელევიზიით არ გადასცემენ.

A7

### ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 14 |
| ქუთაისი | 12 |
| ბათუმი | 9 |
| სოხუმი | 9 |
| ფოთი | 9 |
| თელავი | 12 |
| ზუგდიდი | 11 |
| გორი | 9 |
| ახმეტა | 11 |
| ჭიათურა | 10 |
| გაგრა | 9 |
| სამტრედია | 11 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1600 |
| ევრო | 2.3337 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.4493 |
| რუბლი | 0.0688 |

## თბილისს გაზი ჯერ არ გაეთიშება

*თბილისს თებერვალში მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასურის გადაუხდელობის მიუხედავად, 19 თებერვლამდე გაზის მოწოდების შეწყვეტა არ ემუქრება. ასეთ შეთანხმებას, "თბილგაზის" გენერალური დირექტორის თქმით, მან და "იტერას" ვიცე-პრეზიდენტმა ამ უკანასკნელის თბილისში ვიზიტისას, ორიოდე დღის წინ მიაღწიეს. თუმცა, იმისთვის, რომ დედაქალაქი სამშაბათიდან უგაზოდ არ დარჩეს, ორშაბათს ქართულ მხარეს "იტერას" ანგარიშზე, დაახლოებით ოთხი მილიონი ლარის გადარიცხვა მოუწევს.*

გვანცა კვინიკაძე

თბილისმა თებერვალში, დაახლოებით 42 მილიონი კუბური მეტრი ბუნებრივი აირი მოიხმარა, რისთვისაც "იტერას" 2.2 მილიონი დოლარი უნდა გადაუხადოს. "თბილგაზის" გენერალური დირექტორის ვახტანგ ცაავას განცხადებით, ამ თანხიდან 700 ათასი ლარი "იტერას" უკვე გადაერიცხა, ორშაბათს კი, "თბილგაზი" ბიუჯეტიდან კუთვნილ 760 ათას ლარს ელის. დანარჩენ თანხას "თბილგაზისთვის", ტრადიციულად ცენტრალური ბიუჯეტი და მერია გაიღებენ.

როგორც "24 საათს" საქართველოში "იტერას" წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა თამაზ პატარიძემ განუცხადა, "იტერამ", უბრალოდ, ამჯერადაც დაუჯერა ქართული მხარის დაპირებებს და ამაზე არავითარი გავლენა არ მოუხდენია "თბილგაზის" ტენდერის შედეგების მოლოდინს (ასეთი ინფორმაცია ადრე გავრცელდა "თბილგაზის" ხელმძღვანელობის მიერ). ცაავა დარწმუნებულია, რომ "იტერასთვის" მიცემულ დაპირებას შეასრულებს და, შესაბამისად, არც თბილისს გაეთიშება ბუნებრივი აირი.

## გამტაცებელთა შესახებ ჯერ არაფერია ცნობილი

*გუშინ შინაგან საქმეთა სამინისტრო ოფიციალურად მხოლოდ ვარაუდს გამოთქვამდა, რომ სამეგრელო-ზემო სვანეთში პრეზიდენტის რწმუნებულის ვაჟი, ზაზა ჯიქია, შესაძლოა, გატაცებული იყოს.*
*გუშინვე ზაზა ჯიქიას გატაცების შესახებ ინფორმაციის უშუალოდ გამტაცებელთაგან მიღების ფაქტს უარყოფდა ჯიქიების ოჯახიც. თუმცა, ზაზა ჯიქიას გაუჩინარების დეტალები სწორედ გატაცების სურათს იძლევა და, ცხადია, ამაში არც სამართალდამცველებსა და არც ოჯახის წევრებს ეჭვი არ ეპარებათ.*

სოფიკო ჩხაიძე

14 მარტს, დილით შინიდან გასული, 39 წლის ზაზა ჯიქია არც სამსახურში მისულა და არც შინ დაბრუნებულა. ოჯახის წევრების თქმით, იგი ზუგდიდში აპირებდა წასვლას და ამიტომ გვინ ღამემდე მისი შინ არმისვლა არავის გაკვირვებია. გამთენიისას კი ბონდო ჯიქია უკვე თბილისში იყო. თავდაპირველად გავრცელებული ინფორმაციით, გვიან ღამით პრეზიდენტის რწმუნებულს გამტაცებლები ტელეფონით დაუკავშირდნენ, შვილის გატაცების შესახებ აცნობეს და გამოსასყიდიც მოსთხოვეს – სამი მილიონი დოლარი. სწორედ ამიტომ გამოემართა იგი სასწრაფოდ თბილისისკენ. თუმცა, დღის განმავლობაში ამ ინფორმაციის ნელ-ნელა უარყოფა მოხდა – ჯიქიების ახლობლებმა ჯერ გამოსასყიდის მოთხოვნის ფაქტი უარყვეს და თქვეს, რომ გამტაცებლებმა მხოლოდ გატაცების შესახებ აცნობეს ოჯახს და მოგვიანებით დაკავშირებას დაჰპირდნენ. მალევე ბონდო ჯიქიას ქალიშვილმა განაცხადა, რომ მათ საერთოდ არავინ დაკავშირებია. ჯიქიების ოჯახის სიფრთხილე მით უმეტეს გასაგებია, თუ სიმართლეს შეესაბამება ხმები იმის თაობაზე, რომ ათ დღეში ფულის არგადახდის შემთხვევაში გამტაცებლები გუბერნატორს გატაცებულის თავის მოკვეთით დაემუქრნენ.

გაგრძელება A4 გვერდზე

## ბაღდადის ახალი დიპლომატიური მანევრი გაერო-ში

ლევან ღირსიაშვილი

გაერო-ს სამხედრო ინსპექტორთა ცნობით, ერაყმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში იმ ქიმიური იარაღის თაობაზე წარადგინა მოხსენება, რომელიც, ბაღდადის მტკიცებით, უკვე განადგურებულია. 25-გვერდიან მოხსენებაში, რომელიც ნაწილობრივ ინგლისურ და ნაწილობრივ არაბულ ენაზეა შედგენილი, მითითებულია, თუ სად ინახება ნერვულ-პარალიტიკური გაზის – VX-ის მარაგი. ერაყის მთავრობის განცხადებით, გაზის და ციმბირის წყლულის ვირუსის მარაგი 1991 წელს ბაღდადის შემოგარენში ჩამარხეს.

ერაყში გაერო-ს სამხედრო ინსპექტორთა მისიის წევრები აცხადებენ, რომ ამ სასიკვდილო ნივთიერებათა ან მათი ნარჩენების აღმოჩენა რთული არ იქნება, თუმცა ძნელი იქნება 12 წლის წინათ დამარხული ნივთიერების ზუსტი მარაგის განსაზღვრა.

გაერო-ში ერაყის ელჩის მოჰამედ ალ-დურის განცხადების თანახმად, 25-გვერდიან მოხსენებაში წარმოდგენილია ზუსტი მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ ერაყში ნივთიერებები, რომელიც სამხედრო ინსპექტორთა შეშფოთებას იწვევს, აღარ არსებობს. **"ახლა ჩვენ ყველა ღონეს ვხმარობთ, რათა დავარწმუნოთ გაერო-ს განიარაღების კომისია, რომ ყველა ეს ნივთიერება უკვე განადგურებულია,"** - განაცხადა ერაყის ელჩმა.

ცხადია, რომ ერაყი ამ მოხსენების წარდგენით მასზე დიპლომატიური ზეწოლის შესუსტებას ცდილობს, თუმცა საეჭვოა, რომ ბაღადი ამის მიღწევას შეძლებს. თეთრ სახლს უკვე დიდი ხანია სადამ ჰუსეინის მთავრობის არცერთი განცხადების და

გაგრძელება A3 გვერდზე

## რუსეთ-ბელორუსიის კავშირში ჯერ უკრაინას, შემდეგ დანარჩენებს ელიან

რუსუდან ნიკურაძე
საკ. კორ. მოსკოვში

"ვინ იქნება შემდეგი?" - უკრაინის ოპოზიციური გაზეთის კორესპონდენტმა "იხულიგნა და გაკრული ხელით ეს სიტყვები წააწერა რუსეთის პარლამენტის მცირე დარბაზის შესასვლელში სპიკერის პრესკონფერენციის ანონსს. გენადი სელეზნიოვის პრესკონფერენციამ დაადასტურა, რომ ჟურნალისტს არაფერი შეშლია.

რუსეთ-ბელორუსიის კომისიის ორსაათიანი სხდომის შემდეგ სელეზნიოვმა და მისმა ბელორუსმა კოლეგამ, ვადიმ პოპოვმა ამის შესახებ საზეიმოდ აცნობეს ჟურნალისტებს. ცნობილი გახდა ბელორუსიის პრეზიდენტის ლუკაშენკოს გამონათქვამიც: **"არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იმის დანგრევა, რაც უკვე აშენებულია და რამაც ორი ქვეყნის შეთანხმების ბაზაზე უნდა იმუშაოს".**

მაინც რას აშენებენ რუსები და ბელორუსები? კონფედერაციას თუ ევროსაბჭოს ანალოგს? რაღაც პრინციპები, გენადი სელეზნიოვის სიტყვებით, კონფედერაციის მოდელიდანაა აღებული, რაღაც პრინციპები – ევროსაბჭოდან. საბოლოო ჯამში კი კრემლი ირჩევს მეტად ორიგინალურ გზას – სამოკავშირეო სახელმწიფოს.

სელეზნიოვის მტკიცებით, ორი ქვეყნის კონსტიტუციურ კანონპროექტში საკავშირო და ნაციონალური

გაგრძელება A2 გვერდზე



გენადი სელეზნიოვი

A2 ინფორმაცია A3 ინფორმაცია A4 საზოგადოება A5 სტილი A6 განცხადებები A7 სპორტი A8 სხვადასხვა

## ნოდარ ნათაძე: საქართველოს პრეზიდენტს უკანონო შეიარაღებული რაზმები აქვს შექმნილი

"სახალხო ფრონტის" ლიდერის ნოდარ ნათაძის მტკიცებით, **"საქართველოს პრეზიდენტს კაზაკებითა და მუსლიმებით დაკომპლექტებული რამდენიმეათასკაციანი უკანონო შეიარაღებული რაზმები აქვს შექმნილი".**

როგორც ნათაძემ "ინტერ-პრესს" განუცხადა, გარდა ამისა, პრეზიდენტ შევარდნაძეს ოფიციალურ სახელმწიფო სტრუქტურებში "სიკვდილის ესკადრონები" ჰყავს "ჩასმული", რომლებსაც **"თავისი სკამის შესანარჩუნებლად გამოიყენებს".**

**"ედუარდ შევარდნაძეს რუსეთიდან დავალება აქვს მიღებული, რომლის თანახმად საქართველოში ხელისუფლება წითელი გადატრიალების გზით "წითლებს" უნდა გადაეცეს"** - აღნიშნა "სახალხო ფრონტის" ლიდერმა.

მისი აზრით, საქართველოში რუსეთის შემოსვლას ამერიკა არ დაუშვებს, თუმცა პროცესის დაწყებას შესაძლოა ხელი არ შეუშალოს. ნათაძის განცხადებით, ქვეყანაში შექმნილი რთული პოლიტიკური ვითარებიდან გამოსვლა, მხოლოდ არსებული ხელისუფლების შეცვლის და პრეზიდენტის ინსტიტუტის გაუქმების შემდეგაა შესაძლებელი.

*"ინტერ-პრესი"*

## მოკლედ

**თბილისი.** საქართველოს ნატოში გაწევრიანების პერსპექტივები იქნება განხილული აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ყოფილი მოადგილის, უსაფრთხოების საკითხებში ექსპერტის ჩარლზ ფერბენქსის შეხვედრაზე ქართველ პოლიტიკოსებთან, საზოგადო მოღვაწეებთან, პოლიტოლოგებთან და ექსპერტებთან, რომელიც ორშაბათს არასამთავრობო ორგანიზაციის "საქართველო ნატოში" ცენტრალურ ოფისში გაიმართება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ამერიკელი ინსტრუქტორების მიერ ქართული სპეცდანიშნულების მესამე ბატალიონის მომზადება 64 მილიონ დოლარიანი "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამის ფარგლებში მაისში დაიწყება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პანკისის ხეობაში განსახლებულ ჩეჩენ ლტოლვილებს შორის ჩეჩნეთის კონსტიტუციის თაობაზე რეფერენდუმის ჩატარება არ იგეგმება, განაცხადა პრაიმ-ნიუსთან ინტერვიუში საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრმა ვალერი ხაბურძანიამ. მისი თქმით, რუს კოლეგებთან კონტაქტებისას აღნიშნული საკითხი არ განხილულა, თუმცა ქართულმა მხარემ ჩეჩნეთში რეფერენდუმისათვის მზადების შესახებ ინფორმაცია მიიღო. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო კვლევების ფონდის უფროსი ექსპერტი, ეკონომიკის ყოფილი მინისტრი ვლადიმერ პაპავა აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ კონტროლირებულ საპარლამენტო ფრაქციებს "დესტრუქციულ ძალას" უწოდებს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ერაყში ომის საწინააღმდეგო მდუმარე აქცია ჩატარდება კვირას, თბილისში, თავისუფლების მოედანზე პუშკინის სკვერში. აქციას ორგანიზებას უწევს ომის მოწინააღმდეგეთა საერთაშორისო ორგანიზაციის თბილისის ოფისი და მასში მონაწილეობას მიიღებენ, როგორც ქართველი პაციფისტები, ასევე ყველა ის ადამიანი და ორგანიზაცია, რომელიც მხარს არ უჭერს ერაყში ომის დაწყებას. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტის სახელისუფლო ფრაქცია "მოქალაქეთა კავშირის" თავმჯდომარე ვიტალი ხაზარაძე საკანონმდებლო ორგანოსთან მთავრობის გართულებული დამოკიდებულების დასარეგულირებლად პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის ჩარევის საჭიროებას ვერ ხედავს მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტს ასეთი თხოვნით გასულ კვირას სახელმწიფო მინისტრმა, "მოქალაქეთა კავშირის" თავმჯდომარემ ავთანდილ ჯორბენაძემ მიმართა. **პრაიმ-ნიუსი**

„ხალხის პირისპირ" - ეს არის ტელევიქტორინა, რომლისთვისაც თქვენ, მაყურებლები შეადგენთ კითხვებს და მოიგებთ ფულს, თუ თქვენი შეკითხვა ჩაჭრის სტუდიაში მოწვეულ კონკურსანტს.

ხალხის პირისპირ

შეავსეთ ბლანკი, ამოჭერით და გამოგვიგზავნეთ. შეკითხვების მიღება უფასოა. (გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოყვანილ წესებს).

შეკითხვები არ მიიღება გაზეთის ქსეროასლით

შეკითხვის ტექსტი: | პასუხის ტექსტი:
1
2
3
4
5

სახელი და გვარი
ბინის მისამართი
სამსახურის ტელეფონის ნომერი
ბინის ტელეფონის ნომერი
მობილური ტელეფონის ნომერი

თუ ეთანხმებით ჩვენს წესებს, გთხოვთ, ხელი მოაწეროთ ბლანკს და მიუთითოთ შევსების თარიღი.

ხელმოწერის გარეშე კითხვა არ მიიღება.

# ომის ღმერთის ქართველი მსახურების ზეიმი

"დადგება დრო და ჩვენი ზარბაზნები საჭირო ადგილზე დაიქუხებენ"



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*ქართველი არტილერისტები საქმეში*

*როგორც ამბობენ, არტილერია ომის ღმერთია. ამ ღმერთის ქართველ მსახურებს გუშინ ზეიმი ჰქონდათ: თავდაცვის მინისტრ დავით თევზაძისა და საქართველოს შეიარაღებული ძალების მაღალჩინოსანთა მონაწილეობით, ვაზიანის სამხედრო ბაზაზე არტილერისტთა პროფესიული დღესასწაული აღინიშნა. "დადგება დრო და ჩვენი ზარბაზნები საჭირო ადგილზე დაიქუხებენ", - შეჰპირდა თავდაცვის მინისტრი საზეიმო ღონისძიების მონაწილეებსა და დამსწრე საზოგადოებას.*

გიორგი ასანიშვილი

ქართველი არტილერისტები ამჟამად გაორებულ მდგომარეობაში იმყოფებიან: მათი ცოდნის გაღმავებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე ამერიკელი სპეციალისტები ზრუნავენ, სამხედრო ტექნიკა კი რუსული, უფრო სწორად, საბჭოური წარმოების აქვთ. დავით თევზაძის თქმით, ამერიკელებთან თანამშრომლობა შესაბამისი პროგრამის ამოწურვის შემდეგაც გაგრძელდება. საარტილერიო პოლკის მეთაურის, პოლკოვნიკ ალექსანდრე დიასამიძის განცხადებით კი, დაახლოებით სამ-ხუთ წელიწადში ნავარაუდევია ტექნიკური გადაიარაღების პროცესის დამთავრება, რის შედეგად სამხედრო ტექნიკაც უკვე ამერიკული იქნება.

ზეიმის დროს მიღებული არ არის პრობლემების წინა პლანზე წამოწევა. ამიტომ, ქართველი სამხედროები გუშინ, ძირითადად, პოზიტიურ მომენტებზე ამახვილებდნენ ყურადღებას. **"ჯარისკაცების კვება და სოციალური პირობები ნორმალურია, ტყვია-წამლითაც უზრუნველყოფილები ვართ",** - ირწმუნებოდა ალექსანდრე დიასამიძე.

# ვლადიმირ ჟირინოვსკი ერაყის ოკუპაციას ითხოვს

რუსუდან ნიკურაძე
*საქ. კორ. მოსკოვში*

მოულოდნელი განცხადება გააკეთა რუსეთის პარლამენტის ვიცე-სპიკერმა ვლადიმირ ჟირინოვსკიმ. მისი აზრით, რუსეთმა აუცილებლად უნდა მიიღოს მონაწილეობა ერაყის ოკუპაციაში. პარლამენტის ვიცე-სპიკერის ინიცატივით, ეს წინადადება ლიბერალურ-დემოკრატიული ფრაქციის მიერ მომზადებულ პროექტში ჩაიდო და მას რუსეთის სახელმწიფო სათათბირო მომავალ სხდომაზე განიხილავს.

**"ერაყში ძალის გარდაუვალ გამოყენებასთან დაკავშირებით გადაუდებელი ზომების შესახებ"** - ასე ჰქვია ამ დოკუმენტს. ჟირინოვსკი რჩევას აძლევს პუტინს: **"გაეროს უშიშროების საბჭოში აკრედიტებულ რუს დიპლომატებს მიეცეთ მითითება, ვეტოს უფლების გამოყენების სანაცვლოდ, ერაყზე რეზოლუციაში ჩართონ პუნქტი ერაყის ოკუპაციაში რუსეთის შეიარაღებული ძალების მონაწილეობის შესახებ, ერაყის ჩრდილოეთით მდებარე კირკუკის ნავთობსაბადოების ზონაში რუსეთისათვის გავლენის ზონის გამოყოფის მიზნით."**

ვლადიმირ ჟირინოვსკი ამ სენსაციური გადაწყვეტილების მოტივებს შემდეგნაირად ხსნის:

**- ორი კვირის წინ პარლამენტმა ხელი ჰკრა პრეზიდენტის სახელზე ჩვენი ფრაქციის რეკომენდაციას ვეტოს უფლების გამოყენებაზე. ამიტომ ჩვენ შემოგვაქვს დადგენილების მეორე პროექტი, სადაც პრეზიდენტს ვთხოვთ, გაითვალისწინოს ვეტოს მოწინააღმდეგე დეპუტატების სურვილი და განიხილოს ახლო აღმოსავლეთში რუსეთის შეიარაღებული ძალების გამოყენების პერსპექტივა. ჩვენ უნდა დავამატოთ პუნქტი იმაზე, რომ ეს მოხდეს რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების მონაწილეობით, რათა ჩვენც შევძლოთ ერაყის ტერიტორიაზე მოხვედრა რუსეთის ეკონომიკური ინტერესების დასაცავად."**

ექსპერტები ამტკიცებენ, რომ ჟირინოვსკი ამჯერადაც კრემლის იდეას ახმოვანებს.

**"თუ ჩვენი არმია ჩადგება ჩრდილოეთ ერაყის კირკუკის რაიონში, ათი წლის განმავლობაში რუსეთი შესძლებს საკმარისი ნავთობის ამოღებასა და ეკონომიკური ზარალის ანაზღაურებას. მითუმეტეს, რომ ეს ჩვენს ერაყელ მეგობრებსაც გაუხარდებათ. ისინი ვერ შეურიგდებიან მხოლოდ ამერიკელებისა და ინგლისელების ოკუპაციას. რუსულ არმიას კი ისინი დიდი სიყვარულით შეხვდებიან."**

# რუსეთ-ბელორუსიის კავშირში ჯერ უკრაინას, შემდეგ დანარჩენებს ელიან

პირველი გვერდიდან

უფლებამოსილებანი ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება. დარეგულირებულია მმართველობითი ორგანოების საკითხიც: უზენაესი სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე იქნება ერთიანი სახელმწიფოს ერთ-ერთი ლიდერი და დაინიშნება როტაციის პრინციპით. პრემიერ-მინისტრები კი არ შეიცვლებიან – შეიქმნება სამოკავშირო სახელმწიფოს ერთიანი მთავრობა.

ახალი კავშირის კარი ყველა მსურველისთვის ღიაა. სელეზნიოვმა არ დამალა, რომ ძალიან სურს, ახალ კავშირში პირველ რიგში იხილოს უკრაინა და შემდეგ **"ყველა დანარჩენი"**. სელეზნიოვი მთავარ აქცენტს სლავური სახელმწიფოების მძლავრი კავშირის შექმნაზე აკეთებს და ყველაფერს ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარების საშიშროებით ხსნის.

**- ჩვენ სხვა გზა არ დაგვრჩენია - მთელ რიგ უსიამოვნო გეოპოლიტიკურ სიურპრიზებს მომზადებულნი უნდა შევხვდეთ,** - ამბობს რუსეთის სათათბიროს სპიკერი და დასძენს, - **"აგერ, საქართველოს და ჩეჩნეთის თავზე ამერიკული თვითმფრინავი დაფრინავს, თბილისში კი ამის შესახებ არაფერი იციან"...**

გაურკვეველია სამოკავშირეო სტრუქტურების ფუნქციები, ასევე ერთიანი საემისიო ცენტრის საკითხიც. ბელორუსები ძველებურად ითხოვენ ერთიან საემისიო ცენტრს სამი სუბიექტის ბაზაზე: რუსეთის ცენტრობანკი, ბელორუსიის ეროვნული ბანკი და ბანკთაშორისი სავალუტო საბჭო. ამავდროულად რუსეთის მხარე ვარაუდობს, რომ პრიორიტეტი რუსეთის ცენტრობანკს მიენიჭება. ექსპერტები ამტკიცებენ, რომ 31 მარტს ყველა სადავო საკითხი გაირკვევა.

2 აპრილს რუსეთ-ბელორუსიის კავშირის კონსტიტუციურ აქტს ერთიანი მინისტრთა საბჭო გაეცნობა და დასამტკიცებლად პუტინსა და ლუკაშენკოს გაუგზავნიან.

გენადი სელეზნიოვი რამდენიმე დღის წინ ბაღდადიდან მინსკში ჩაფრინდა, ხოლო ვნუკოვოს აეროპორტიდან პირდაპირ კრემლში, პუტინთან გაემგზავრა.

რუსეთის ძალოვან სტრუქტურებში მომხდარ ცვლილებებზე სპიკერი ამბობს, რომ ეს ქვეყნის საერთო განვითარებისათვის სასიცოცხლო ცვლილებებია. პრეზიდენტის ბლოკში მომხდარი გადაადგილებების თაობაზე სპიკერს ერთი შენიშვნაც აქვს: კარგი იქნებოდა, თუკი მინისტრთა კაბინეტშიც რევოლუციური გადაადგილებები მოხდებაო. გასაგებია, რაც აქვს მხედველობაში პარლამენტის თავმჯდომარეს. მოსკოვში დარხეული ხმების თანახმად, რუსეთის პრემიერ-მინისტრს მიხეილ კასიანოვს პრეზიდენტის გუნდმა წყალი შეუყენა.

## პარლამენტმა ინტერფრაქციული ჯგუფის პარალიზება მოახერხა

თამარ მჭედლიშვილი

ოთხდღიანმა აბსურდმა მთლიანად დაბლოკა საპარლამენტო საქმიანობა. პარასკევს ვერ შეიკრიბა პარლამენტის ინტერფრაქციული ჯგუფი, რომელსაც საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტების ახალ წესსზე მსჯელობა უნდა დაეწყო. არადა, ეს ის უმნივშნელოვანესი თემაა, რომლის ირგვლივაც გამართული პოლიტიკური დებატები ისეთი დაძაბულობითა და დარამატიზმით იქნება გაჯერებული, რომ პოლიტიკით დაინტერესებულ საზოგადოებას, შეიძლება ითქვას, მთლიანად დაავიწყებს 115 ლარის ირგვლივ გაჩაღებულ უსაფუძვლო და აბსურდულ დავებს.

ინტერფრაქციულ ჯგუფში უკვე შესულია სხვადასხვა პოლიტიკური ორგანიზაციების მიერ მომზადებული ვარიატები, რომელიც საარჩევნო ადმინსიტრაციების დაკომპლექტების წესს განსაზღვრავენ. ინტერფრაქციული ჯგუფის მთავარი ამოცანა ამ ვარიანტების შეჯერება და პარლამენტის წინაშე შეთანხმებული პროექტის წარდგენაა, მაგრამ თავისი შინაარსით, ეს წინადადებები იმდენად განსხვავებულია, რომ პოლიტიკურ პარტიებს შორის საერთო ენის გამონახვა თითქმის შეუძლებელი იქნება.

ვითარებას ისიც ამწვავებს, რომ სახელისუფლებო ფრაქციებმა უკვე წარმოადგინეს საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტების სამი ვარიანტი, რომლის ლობირებას თემატური უმრავლესობა ბოლომდე ეცდება. მეტიც: ჩვენი ინფორმაციით, ისინი ოპოზიციასთან არანაირ კომპრომისზე წასვლას არ აპირებენ. ასე რომ, უკვე ადვილი წარმოსადგენია, თუ რამდენად დაძაბულად წარიმართება პოლიტიკური დისკუსიები.

სახელისუფლებო ფრაქციების მთავარი ოპონენტები კვლავ და კვლავ საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები იქნებიან, რადგან "მოქკავშირის" ლიდერების მიერ წარმოდგენილი ნებისმიერი პროექტის გასვლის შემთხვევაში, საარჩევნო ადმინისტრაციებში ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები საკუთარ წევრებს ვერ დანიშნავენ. ეს კი სავსებით მისაღებია სახელისუფლებო პარტიებისათვის.

კონსესუსამდე საკმაოდ შორია. აქედან გამომდინარე, პარლამენტის ინტერფრაქციული ჯგუფის თითოეული სხდომის ჩაშლა საერთო ფონს უფრო გაართულებს და საკითხის პლენარულ სხდომაზე გატანას გადაავადებს. საგულისხმოა ისიც, რომ პარლამენტმა მოსახლეობის წინაშე უკვე აიღო ვალდებულება, რომლის თანახმადაც, საარჩევნო კოდექსში ცვლილებების შეტანას აპრილის ბოლოს დაასრულებს.

თუკი პალამენტში მოვლენები ისევე განვითარდება, როგორც ეს ამ კვირას მოხდა, მაშინ დეპუტატთა დაპირება მორიგ ტყუილად გადაიქცევა და უმნიშვნელოვანეს საპარლამენტო არჩევებს ქვეყანა კვლავ არადემოკრატიული საარჩევნო კანონმდებლობით შეხვდება.

## ვანო ზოდელავა უცხოელებთან მერის არჩევითობის აუცილებლობაზე საუბრობს

საქართველოში დემოკრატიის მდგრადობის შესასწავლად ჩამოსულ ევროკავშირის მონიტორინგის ჯგუფს გუშინ თბილისის მერი ვანო ზოდელავა შეხვდა. საუბარი საარჩევნო კანონში არსებულ შეუსაბამობებსა და ხარვეზებს, სასურველ ცვლილებებსა და რეალურ პერსპექტივებს შეეხო.

როგორც თბილისის მერმა განაცხადა, მე-5 წელია, იგი მერის არჩევითობის დაწესებას ითხოვს, მაგრამ ძალებმა, რომლებიც დღეს ოპოზიციად მოიაზრებიან, პარლამენტში ყოფნისას, ამ კანონის მიღების შესაძლებლობა ხელიდან გაუშვეს".

ზოდელავას განცხადებით, იგი არ ეთანხმება საკრებულოს მაჟორიტარული წესით არჩევის პრინციპს, რადგან ამომრჩეველი პარტიების ლიდერებზე ამახვილებს ყურადღებას, ხოლო საკრებულოში ამა თუ იმ ძალის მოსვლის შემდეგ რწმუნდება, რომ ამ ლიდერებს ქალაქის თვითმმართველობაში არაპროფესიონალი კადრები მოჰყავთ".

მონიტორინგის ჯგუფის წევრებმა ქალაქის მერთან გუშინ ასევე ბიუჯეტის ფორმირების არსებულ ტექნოლოგიაზე, ფედერალური და ადგილობრივი ბიუჯეტების ურთიერთმიმართებაზე ისაუბრეს.
**ინტერ-პრესი**

## ელიზაბეტ ჯონსი: საქართველომ დიდი წვლილი შეიტანა ტერორიზმთან ბრძოლაში

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილემ ელიზაბეტ ჯონსმა განაცხადა, რომ **"საქართველომ, სომხეთმა და აზერბაიჯანმა უაღრესად მნიშვნელოვანი მხარდაჭერა აღმოუჩინეს აშშ-ს ტერორიზმთან ომში".**

აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატის საერთაშორისო ურთიერთობების კომიტეტში გამოსვლისას ელიზაბეტ ჯონსმა თქვა, რომ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებმა **"არაორაზროვანი პოლიტიკური და სამხედრო მხარდაჭერა"** გასწიეს და ასევე ვაშინგტონს ტერორისტულ ჯგუფებზე მნიშვნელოვანი სადაზვერვო მასალები მიაწოდეს. **პრაიმ-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

უცხოეთი

# პაციფისტების ბოლო მცდელობა

ლევან ღირსიაშვილი

გუშინ თითქმის მთელ მსოფლიოში ერაყში ომის მოწინააღმდეგეთა მორიგი მასობრივი საპროტესტო აქციები დაიწყო. დემონსტრანტთა მრავალათასიანმა ტალღამ პირველად ახალი ზელანდიის, იაპონიის, ავსტრალიის და ტაილანდის ტერიტორიები მოიცვა. გუშინვე ანალოგიური საპროტესტო აქცია მოსკოვშიც გაიმართა. აქ დემონსტრანტები რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს შენობის წინ შეიკრიბნენ. თუმცა მათი რიცხვი 100-150 კაცს არ აღემატებოდა. როგორც ჩანს მოსკოველების უმრავლესობას ერაყის ბედი არ აღელვებთ. მიუხედავად ამისა, რუსეთის კომპარტიის ლიდერის – გენადი ზიუგანოვის თაოსნობით, აქციის მონაწილეები აშშ-ის საელჩოსაკენ მარშით გაემართნენ



მრავალათასიანი დემონსტრაცია ტოკიოში

რუსებისგან განსხვავებით, ერაყში ომის დაწყებას საკმაოდ მტკივნეულად აღიქვამენ თავად ომის ინიციატორი სახელმწიფოების მოქალაქეები. დღეს ვაშინგტონის და ლონდონის ქუჩებში ასიათასობით ადამიანის გამოსვლაა დაგეგმილი. აშშ-ის ანტისაომარი მოძრაობის ლიდერები, რომელთა რიგებშიც მრავალი ცნობილი სახეა, ვაშინგტონში სულ მცირე 100 ათას კაციანი საპროტესტო მარშის მოწყობას იმედოვნებენ. ანალოგიურ რაოდენობას მოელიან ლონდონის ქუჩებშიც. აქციის მონაწილეებს მიაჩნიათ, რომ მათ თავიანთი აზრის გამოთქმით და პროტესტის გამოხატვით, მშვიდობის შენარჩუნების საბოლოო შანსი ეძლევათ. ანალოგიური საპროტესტო აქციები მსოფლიოს ასზე მეტ ქვეყანაშია დაგეგმილი.

ერაყში ომის მიმართ მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრის უარყოფითი დამოკიდებულების მიუხედავად, ვაშინგტონი თავის მოკავშირეებთან ერთად ჰუსეინის დამხობისათვის მზადებას განაგრძობს. დღეს აზორის კუნძულებზე აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის და ესპანეთის ლიდერების შეხვედრა გაიმართება. ჯორჯ ბუშმა, ტონი ბლერმა და ხოსე მარია აზნარმა ერაყის კრიზისის სამხედრო გზით დაძლევის შესაძლებლობები უნდა განიხილონ.

ზოგიერთი მიმომხილველი არ გამორიცხავს, რომ სწორედ ამ სამიტის შემდეგ დაიწყება დროის ათვლა ერაყში მასირებული დაბომბვების დაწყებამდე. თუმცა თეთრი სახლის წარმომადგენლის განცხადების თანახმად, "სამეული" მხოლოდ კრიზისის დაძლევის დიპლომატიურ მეთოდებზე იმსჯელებს და ისინი სამხედრო ოპერაციის დაწყების დეტალებს არ განიხილავენ.

## ბაღდადის ახალი დიპლომატიური მანევრი გაერო-ში

პირველი გვერდიდან

დოკუმენტის აღარ სჯერა. ვაშინგტონი ომისთვის ინტენსიურ მზადებას განაგრძობს.

აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტის წარმომადგენლის ცნობით, ავიაციისთვის დახურულ საჰაერო ზონაში, პირველად იქნა გამოყენებული შორი მოქმედების ბომბდამშენი "ბ-1". მისი გამოყენებით, პენტაგონმა აკრძალული ზონის დასავლეთ ნაწილში ერაყის ორ რადარზე მიიტანა იერიში. ასევე ცნობილი გახდა, რომ რეგიონში რამდენიმე ასეთი სახის მძლავრი ბომბდამშენია განლაგებული, რომელთაც სავარაუდოდ სამხედრო ოპერაციის დაწყების შემთხვევაში წამყვანი როლი დაეკისრებათ. ეს დახურული საფრენი რაიონი ამერიკული ავიაციის მიერ ინტენსიურად იბომბება, რადგანაც პენტაგონი ვარაუდობს, რომ ერაყს სწორედ ამ ტერიტორიაზე აქვს გადამალული "სკადის" ტიპის რაკეტები, რომლის გამოყენებასაც ბაღდადი ისრაელის წინააღმდეგ აპირებს.


ერაყის ელჩი გაერო-ში მოჰამედ ალ-დური

# ჩინეთს ახალი პრეზიდენტი ჰყავს

ლევან ღირსიაშვილი

*სრულიად ჩინეთის სახალხო ყრილობამ ქვეყნის ახალ პრეზიდენტად ჰუ ძინტაო აირჩია. მან ამ პოსტზე ძიან ძემინი შეცვალა, რომელიც ჩინეთს 10 წლის განმავლობაში მართავდა. ჰუ ძინტაო რომ პრეზიდენტი გახდებოდა, ეჭვი არავის ეპარებოდა. ჯერ კიდევ გასული წლის ნოემბერში ის ჩინეთის მმართველი კომუნისტური პარტიის ლიდერი გახდა. თუმცა მიმომხილველები მიიჩნევენ, რომ ძიან ძემინი უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში ცენტრალური სამხედრო კომიტეტის ხელმძღვანელობას გააგრძელებს. ეს კი ის სტრუქტურაა, რომელსაც ჩინეთის ყველა სფეროში უზარმაზარი გავლენა გააჩნია.*

60 წლის ჰუ ძინტაოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტზე კონკურენტი არ ჰყოლია.


ძიან ძემინი და ჰუ ძინტაო

სრულიად ჩინეთის სახალხო ყრილობის სამი ათასი დელეგატიდან მის წინააღმდეგ ხმა მხოლოდ მეოთხედმა მისცა.

თუმცა, უნდა აღინიშნოს რომ კენჭისყრას, პრაქტიკულად ფორმალური ხასიათი ჰქონდა. მთავრობის ყველა პოსტზე თითო კანდიდატი იყო წარმოდგენილი და არჩევნების შედეგებიც კომუნისტური პარტიის ლიდერთა თათბირზე უკვე წინასწარ იყო გადაწყვეტილი. ასეა თუ ისე, ყრილობამ, რომელიც მუშაობას ხვალ დაასრულებს, ქვეყნის მთავრობის ახალი შემადგენლობა, პრეზიდენტის ჩათვლით, უკვე კანონიერად დაამტკიცა.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის ჰუ ძინტაოს მოადგილედ ყრილობამ ძენ ცინხუნი აირჩია. არანაკლებ მნიშვნელოვანი პოსტი – სრულიად ჩინეთის სახალხო ყრილობის მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობა კი, კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს უ პანკუოს ხვდა წილად.

თუმცა, ბევრი ექსპერტი დარწმუნებულია, რომ ჰუ ძინტაოს საკმაოდ გაუჭირდება ჩინეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაზე სრული კონტროლის განხორციელება. ვარაუდობენ, რომ მასზე საკმაოდ დიდი გავლენა ექნება ყოფილ პრეზიდენტს ძიან ძემინს, რომელიც ამიერიდან მხოლოდ არმიის ხელმძღვანელი იქნება. მიუხედავად ამისა, სწორედ ძიან ძემინის აზრი და პოზიცია იქნება განმსაზღვრელი ფაქტორი ჩინეთის საგარეო პოლიტიკის საკითხებში და, რაც მთავარია, ტაივანის პრობლემასთან დაკავშირებით. არმია ხომ ჯერ კიდევ ჩინეთის სახელმწიფოს უმთავრეს ორგანიზმს წარმოადგენს.

თავად ქვეყნის ახალი ლიდერის ჰუ ძინტაოს შესახებ კი, ბევრი არაფერია ცნობილი. უკვე 11 წელია, რაც ის ჩინეთის მმართველი ელიტის წევრია. ეს კი, რასაკვირველია, საკმაოდ მდიდარ გამოცდილებას ნიშნავს. ჰუ ძინტაოს ერა ჩინეთის ისტორიაში, ალბათ, სერიოზული პოლიტიკური რეფორმების განხორციელებით არ აღინიშნება, მაგრამ ჰუ ძინტაომ ჩინეთში მთელი რიგი ეკონომიკური და საზოგადოებრივი გარდაქმნები უნდა განახორციელოს. ყოველ შემთხვევაში ბევრი დამკვირვებელი ფიქრობს, რომ ჩინეთის ხელისუფლებაში პრაგმატულად მოაზროვნე კომპეტენტური ლიდერები მოვიდნენ, რომლებსაც მაო ძე დუნის იდეები უკვე აღარ აწუხებთ. მათი საქმიანობის ძირითადი განმსაზღრველი დენ სიაოპინის და ძიან ძემინის იდეოლოგია იქნება.

ჩინეთის მეოთხე თაობის ლიდერებისათვის ხელისუფლების გადაცემის პროცესი დღეს დასრულდება, როდესაც სრულიად ჩინეთის სახალხო ყრილობა სახელმწიფო საბჭოს (მთავრობის) ახალ პრემიერს, მის მოადგილეებს და ცენტრალური სამხედრო საბჭოს წევრებს აირჩევს. ხოლო ორშაბათს ყრილობის დელეგატები ჩინეთის მინისტრთა პოსტებს დაანაწილებენ, რის შემდეგაც სრულიად ჩინეთის სახალხო ყრილობა მუშაობას დაასრულებს.

ეკონომიკა

# ქართველებს ღვინის ხარისხს გერმანელები დაუდასტურებენ

პირველი გვერდიდან

ქართული მხარის ვალდებულებებს, ქართულმა მხარემ უნდა გამოყოს ლაბორატორიისათვის ვარგისი შენობა და შეთანხმებულ ვადებში მოამზადოს ლაბორატორიის აღჭურვისთვის. ამ ვალდებულების შესასრულებლად, პერზიდენტის ბძანებულებით, 285 ათასი ლარია გამოყოფილი. სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის დავით გრიგოლიას ინფორმაციით, ამ ეტაპზე ასეთ ადგილად სოფლის მეურნეობის ინსტიტუტის ერთ-ერთი შენობაა შერჩეული. სარემონტო სამუშაოების განმახორციელებელი კომპანიის გამოსავლენად ტენდერი დაახლოებით ორი კვირის ვადაში დაინიშნება.

პროექტის ხელმძღვანელის ამბროს დოცერის თქმით, ლაბორატორია პირველ ანალიზს უკვე მიმდინარე წლის ბოლოსთვის განახორციელებს.

პროექტის თანახმად, ლაბორატორიის შედეგები თუ არ დაემთხვა ევროკავშირის ლაბორატორიის შედეგებს, ტვირთი კომპანიის ხარჯებით უკან დაბრუნდება ქვეყანაში. მართალია, ლაბორატორია არ იქნება მოგებაზე ორიენტირებული, მაგრამ თავის ფუნქციონირებას სინჯების ანალიზის შედეგად მიღებული თანხებით უზრუნველყოფს.

ლაბორატორიის შექმნა დადებითად შეაფასა კერძო სექტორმაც. "თბილღვინოსა" და GWS-ის ხელმძღვანელების თქმით, ერთობ რთულდება ახალი ბაზრების ათვისება. არსებობს იმის ალბათობაც, რომ ქართული ღვინო დაიბლოკოს. ამიტომ, კერძო სექტორის განმარტებით, ძალიან მნიშვნელოვანია ამ ლაბორატორიის შექმნა, რადგან ეს ქართული ღვინისათვის ევროპის ქვეყნების ბაზრებზე შესვლის კარგი შესაძლებლობაა.

**"მთავარია, რომ ეს ლაბორატორია მართლაც იყოს დამოუკიდებელი, ნეიტრალური, მაღალპროფესიონალი ადამინებით დაკომპლექტებული და უახლესი ტექნიკით აღჭურვილი. ეს ლაბორატორია უნდა იყოს წევრობაზე დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც კოორდინირებას სახელმწიფო, კერძო სექტორის წარმომადგენლებითა და სპეციალისტებით დაკომპლექტებული სამეთვალყურეო საბჭო გაუწევს",** - განაცხადა GWS-ის გენერალურმა დირექტორმა გიორგი მშვიდობაძემ.

დადებითად შეფასების მიუხედავად, GWS-ის გენერალური დირექტორის თქმით, მთელი რიგი საკითხები ბუნდოვანია და გარკვევას მოითხოვს. მათ შორის მშვიდობაძემ უკან დაბრუნებული ტვირთის ხარჯების ანაზღაურების საკითხის გარკვევა დაასახელა.


ამ მარნებში ქართველებს გერმანელები შეცვლიან.

## თბილისში მაისიდან საქალაქო ავტობუსები მოიმატებს

გუშინ, საკრებულოს თავმჯდომარემ მიხეილ სააკაშვილმა და თბილისის მთავრობის ვიცე-პრემიერმა თემურ ქურხულმა ბიუჯეტის პარამეტრები არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად განიხილეს. თემურ ქურხული პროგრამული პროექტების განხორციელებაში, რომლითაც სხვადასხვა რაიონების კეთილმოწყობითი სამუშაოები უნდა დაფინანსდეს, თანადაფინანსების პრინციპის დანერგვის ინიციატივით გამოდის.

ვიცე-პრემიერის მეორე ინიციატივა მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარების საკითხს ეხებოდა, რომლის თანახმადაც, მაისიდან თბილისში იაფი, კომფორტული ავტობუსები უნდა შემოვიდეს, თუმცა თემურ ქურხული არ გამორიცხავს, რომ სამარშრუტო ხაზების მფლობელები ავტობუსების ხაზზე გასვლას ყველა ხერხით შეეწინააღმდეგებიან.

ქურხულის თქმით, მუნიციპალური ავტობუსები, პირველ რიგში, ქალაქის გარეუბნებში დაინიშნება.

*მედია-ნიუსი*

## მოკლედ

**თბილისი.** ჩეხური ჰოლდინგური კომპანიის "ჟოვტი ვოდის" "ჭიათურმანგანუმში" მართვის უფლებით შემოსვლას საწარმოში სკეპტიკურად უყურებენ. რამდენიმე დღის წინ ჩეხური კომპანიის პრეზიდენტი ოტოკან იანიჩუკი "ჭიათურმანგანუმთან" დაკავშირებით საქართველოს სახელმწიფო მინისტრს ავთანდილ ჯორბენაძეს შეხვდა. მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრა გაცნობით ხასიათს ატარებდა და ჩეხურ კომპანიას ქართულ მხარესთან თანამშრომლობის ფორმები ჯერჯერობით ჩამოყალიბებული არ აქვს, ჩეხები არ გამორიცხავენ, რომ მოლაპარაკების შემთხვევაში, "ჭიათურმანგანუმს" არა მარტო პროდუქციის შემსყიდველის, არამედ ინვესტორის როლშიც მოევლინონ. როგორც აღმოჩნდა, კომპანია "ჟოვტი ვოდი" ქართულ მხარისათვის შესაძლოა არასაიმედო პარტნიორი აღმოჩნდეს, რადგან, სარწმუნო წყაროს აცნობით, კომპანიის საწესდებო კაპიტალი საკმაოდ მცირეა და სულ რამდენიმე ათას დოლარს შეადგენს. გარდა ამისა, ქართული საწარმოს თანამშრომელთა სკეპტიციზმს განაპირობებს ის ფაქტიც, რომ კომპანია "ჟოვტი ვოდს" უშუალოდ საწარმოსთან პირად კონტაქტზე გასვლა ჯერჯერობით არც უცდია. **"ინტერ-პრესი"**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე გიორგი ისაკაძე საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ნორმალური ურთიერთობის შენარჩუნებას იმედოვნებს. როგორც ცნობილია, სავალუტო ფონდის მიერ ქართული მხარისათვის დაყენებულ პირობათაგან ერთ-ერთი, საქართველოში საგადასახადო შემოსავლების კუთხით სავალუტო ფონდის მიერ განსაზღვრული პარამეტრების შესრულებაა. "ჩვენ ფინანსთა სამინისტროდან გვაქვს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ისინი კვარტალური ბიუჯეტის გეგმას შეასრულებენ. იმ შემთხვევაში, თუ გეგმა ჩავარდა, სავალუტო ფონდთან ურთიერთობის ხარისხი, თავის მხრივ, ჩავარდნის ხარისხზე იქნება დამოკიდებული. თუ დანაკლისის რაოდენობა მოექცევა იმ ჩარჩოებში, რომლის გამოსწორებაც გარკვეულ დროში იქნება შესაძლებელი, ვფიქრობ, ქვეყანას საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ურთიერთობაში პრობლემები არ შეექმნება" - განაცხადა ისაკაძემ. **"ინტერ-პრესი"**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ეროვნული ბანკის საბანკო ზედამხედველობის და რეგულირების სამმართველოს ინფორმაციით, მიმდინარე წლის 1 თებერვლის მდგომარეობით, 2002 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ქვეყნის ათი უმსხვილესი კომერციული ბანკის მთლიანი აქტივები 32,4 პროცენტით გაიზარდა, ამასთან მთლიანმა ვალდებულებებმა 33,6 პროცენტით, ხოლო სააქციო კაპიტალმა 31 პროცენტით მოიმატა. გასული წლის 1 თებერვლის მდგომარეობით, ათი უმსხვილესი კომერციული ბანკის ჩამონათვალში "გამა ბანკი" და "საქართველოს საფოსტო ბანკი" შედიოდნენ, წლეულს კი მათი ადგილი ათეულში "თბილუნივერსალბანკმა" და "სახალხო ბანკმა" დაიკავეს. ეროვნული ბანკის მონაცემებით, მთლიანი აქტივების მიხედვით, მოცემული პერიოდისათვის პირველ სამ ადგილს "თი-ბი-სი ბანკი", "საქართველოს ბანკი" და "გაერთიანებული ქართული ბანკი" იკავებენ, რომელთა აქტივების რაოდენობაც შესაბამისად 213,5, 181,6 და 145,7 მილიონ ლარს შეადგენს. სააქციო კაპიტალის მოცულობის მიხედვით კი, ათი უმსხვილესი ბანკიდან პირველ სამეულს - "საქართველოს ბანკი", "ბანკი ქართუ" და "თი-ბი-სი ბანკი" იკავებენ, რომელთა სააქციო კაპიტალის მოცულობა საანალიზო პერიოდისათვის, შესაბამისად 45,8, 45,4 და 30,7 მილიონ ლარს შეადგენდა. რაც შეეხება უმსხვილესი კომერციული ბანკების პირველ სამეულს, მთლიანი ვალდებულებების მიხედვით, აქ "თი-ბი-სი ბანკი" (182,7 მილიონი ლარი), "საქართველოს ბანკი" (135,7 მილიონი ლარი) და "გაერთიანებული ქართული ბანკი" (121,3 მილიონი ლარი) ლიდერობენ. **"ინტერ-პრესი"**

■ ■ ■

**თბილისი.** ურეკში ნავთობპროდუქტებით სანაპიროს დაბინძურების ფაქტი დაფიქსირდა. შტორმის შემდეგ, ურეკიდან ფოთის ნავსადგურის მშრალ ხიდამდე, სანაპირო ზოლი მაზუთის ცომისებური ბელტებით დაიფარა. **მედია-ნიუსი.**

# "დოიჩე ტელეკომი"- სამწუხარო რეკორდის ავტორი

თორნიკე შარაშენიძე

ერაყთან ომის მოლოდინში საქმიანი სამყაროს ყურადღება, ძირითადად, ნავთობის ფასებისკენაა მიმართული; თუმცა, ინტერესმოკლებული არც კორპორაციული სფეროა. აქ ახალი "რეკორდი" დაამყარა ევროპის უდიდესმა კავშირგაბმულობის კომპანიამ "დოიჩე ტელეკომმა" მიმდინარე ფინანსური წლის პირველი 9 თვის განმავლობაში კომპანიამ 24,5 მილიარდი ევრო იზარალა. ეს უდიდესი დანაკარგია გერმანიის კორპორაციული ბიზნესის ისტორიაში, რასაც კომპანიის ხელმძღვანელობაში მორიგი ცვლილება მოჰყვა. მთავარ აღმასრულებელ ოფიცრად კაი-უვე რიკე დანიშნეს, რომელიც ბოლო 4 თვის განმავლობაში რიგით მესამე უფროსია.

"დოიჩე ტელეკომის" ასეთი კრახი რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა, რომლეთაგან უმთავრესი 90-იანების ბოლოს მობილურ ლიცენზიებზე დიდძალი თანხის დახარჯვაა. ამ თანხამ 70 მილიარდი დოლარი შეადგინა და, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ლიცენზიები ამის ნახევარიც არ ღირდა. ყოველ შემთხვევაში, ახლანდელ ვითარებაში ნამდვილად არ ღირს, რის გამოც კავშირგაბმულობის გიგანტს ახლა თავისი ანგარიშებიდან 20,3 მილიარდი ევროს ჩამოწერა მოუხდა. რიკეს, რომელიც საბჭომ ფარული კენჭისყრით აირჩია, მართლაც რთული გამოწვევა ელის. მან უნდა "ამოათრიოს" კომპანია 64-მილიარდიანი ვალიდან.

აღსანიშნავია, რომ რიკე მიესალმა ზემოთ ნახსენები მილიარდების ჩამოწერას. მისი თქმით, ასე მისთვისაც და ყველასთვისაც გასაგები ხდება კომპანიის მდგომარეობა. "ახლა ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ სწრაფად და უკომპრომისოდ," - ასეთი სიტყვებით გამოვიდა რიკე პრესკონფერენციაზე.

ამ მოქმედებაში უპირველესად, ცხადია, სამუშაო ადგილების შემცირება იგულისხმება. კომპანია 2005 წლისათვის 46 ათასი თანამშრომლის დათხოვნას გეგმავს, რაც მთლიანი შტატის 20 პროცენტია. ცხადია, პროფკავშირები ამ გადაწყვეტილებას გააფთრებულ წინააღმდეგობას გაუწევენ, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი, ალბათ, ისე მოხდება, როგორც "ფრანს ტელეკომის" შემთხვევაში მოხდა - იქაც პროფკავშირებმა ბევრი იომეს, მაგრამ კომპანიის თანამშრომლები დათხოვნას მაინც ვერ გადაურჩნენ.

რიკეს თქმით, ვალების გასასტუმრებლად იგი აპირებს, გაყიდოს საკაბელო ტელეარხები და უძრავი ქონების დიდი ნაწილი. ამგვარად მოხდება არაძირეული ბიზნესის თავიდან მოშორება და ძირითად საქმიანობაზე კონცენტრირება. რიკეს გათვლებით, 2003 წლის ბოლოსათვის კომპანიის ვალები 55 მილიარდ ევრომდე უნდა ჩამოვიდეს.

"დოიჩე ტელეკომის" 43 პროცენტს სახელმწიფო აკონტროლებს. ამან შარშანდელი არჩევნების წინ დიდი პრობლემები შეუქმნა კანცლერ შრიოდერს, თუმცა, მოგეხსენებათ, ბოლოს გამარჯვება მაინც მას დარჩა.

სამართალი

# გამტაცებელთა შესახებ ჯერ არაფერია ცნობილი

პირველი გვერდიდან

ზაზა ჯიქიას საეჭვო გაუჩინარებას გენერალურმა პროკურატურამ უკანონოდ თავისუფლების აღკვეთის კვალიფიკაცია მიაკუთვნა და შესაბამისი მუხლით აღძრული სისხლის სამართლის საქმე საგამოძიებო ნაწილს გადაეცა. პირველი საგამოძიებო მოქმედებები გუშინვე ჩატარდა, დაიკითხა რამდენიმე მოწმე, რომელთა ვინაობასაც მკაცრად ასაიდუმლოებენ. გამომძიებლებმა დალუქეს ზაზა ჯიქიას ავტომანქანაც - შინდისფერი "ვაზ 21-07" მარკის ჟიგული, რომელსაც ელბაქიძის დაღმართზე მიაგნეს. სავარაუდოდ, სწორედ ამ მანქანიდან გაიტაცეს ჯიქია ბოროტმოქმედებმა და გაურკვეველი მიმართულებით მიიმალნენ. ჯერჯერობით ცნობილია მხოლოდ ის, რომ მანქანაში თავად ჯიქიას საბუთები და პირადი ნივთებია ნაპოვნი.

გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, გატაცების მოტივად ჯერჯერობით ფულის გამოძალვას მიიჩნევენ. სხვა შესაძლო მოტივებზე გამოძიება არ საუბრობს, თუმცა ამბობენ, რომ მუშაობა მრავალი მიმართულებით მიმდინარეობს. ეჭვობენ, რომ თავად ზაზა ჯიქიას ფინანსური მდგომარეობა გამტაცებელთა ინტერესს არ უნდა წარმოადგენდეს – იგი არ არის ჩართული რაიმე სერიოზულ ბიზნესში, ფირმა "მარტინ ბაუერი-თბილისის" მენეჯერად მუშაობს და მის სამსახურებრივ შემოსავალს საშუალო თუ შეიძლება ეწოდოს. შესაბამისად, გამტაცებლებს გუბერნატორის შემოსავლების იმედი უნდა ჰქონდეთ. თუმცა, ზუგდიდელები ამბობენ, ბონდო ჯიქიასგან სამი მილიონის მოთხოვნა ნაკლებად რეალურიაო. სამართალდამცველთაგან გამოსული ინფორმაციის სიმწირეს ერთგვარად ანაზღაურებს ბონდო ჯიქიას ვაჟის გატაცებასთან დაკავშირებული ხმები. ერთნი გუბერნატორის ვაჟის გატაცებას საქართველოში "კანონიერი ქურდების" წინააღმდეგ წამოწყებულ კამპანიას უკავშირებენ და ამბობენ, რომ გატაცება ერთგვარად სამართალდამცველთა დაშანტაჟების მიზანს ატარებს. შანტაჟზეა ლაპარაკი მეორე გავრცელებულ ვერსიაშიც, რომლის თანახმადაც, მავანნი ბონდო ჯიქიას სამეგრელოს რეგიონიდან მოშორებას გეგმავენ. მსურველთა შორის კი საკმაოდ გავლენიან თანამდებობის პირებსა და სამეგრელოში არანაკლები ავტორიტეტის მქონე, ნახევრად ოფიციალურ სამხედრო შენაერთებს ასახელებენ. თუ ერთ შემთხვევაში გუბერნატორზე პოლიტიკური გავლენის მოპოვების მცდელობას გულისხმობენ, მეორე ვარიანტი სამეგრელოში კონტრაბანდის წინააღმდეგ წამოწყებულ ბრძოლას უკავშირდება. კერძოდ, საუბარია, პრეზიდენტის განკარგულების შემდეგ სამეგრელოში კონტრაბანდული ტვირთების მიმოქცევის აღკვეთის მცდელობაზე, რასაც, გარეგნულად მაინც, ძალზე სერიოზულად მიჰყო ხელი ჯიქიამ.

ამ ეტაპზე ზაზა ჯიქიას გატაცების შესაძლო მოტივებზე უფრო კონკრეტული ინფორმაციის მოპოვება, თითქმის, შეუძლებელია. ამ საკითხების ირგვლივ, როგორც გაირკვა, სამართალდამცველ ორგანოებშიც კი ცოტა რამ თუ იციან - მიუხედავად საქართველოს პრეზიდენტის მოწოდებისა საქმის სასწრაფოდ გახსნისა და გატაცებულის გათავისუფლების თაობაზე. სამართალდამცველები გულწრფელად აღიარებენ, რომ გამტაცებელთა ვინაობის დადგენა ჯერაც ვერ მოუხერხებიათ.

# „პაცანას" ტერაქტს უწყობდნენ

შარშან, ერთ-ერთი საქმის გარჩევის დროს კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლებმა - ვაშაძემ და ცეცხლაძემ ავტომატით ჩაცხრილეს ასევე კრიმინალური სამყაროს წარმომადგენელი, ჭიათურელი გოჩა ტაბატაძე – მეტსახელად, "პაცანა." მაშინ ტაბატაძე ყელის არეში დაიჭრა და მისი გადარჩენის იმედი აღარავის ჰქონდა.

თამარ კაციტაძე

აღნიშნული დანაშაულის გამო, ჭიათურის პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. იმერეთის სამხარეო პოლიციის უფროსის ზაზა ძნელაძის განცხადებით, გადარჩენილი, მაგრამ დაინვალიდებული დაზარალებული, ე.წ. "ქურდული კანონებიდან" გამომდინარე, სამართალდამცველებთან ურთიერთობაზე უარს აცხადებდა. დამნაშავეთა ვინაობა მაინც დადგინდა, მაგრამ რა მიზეზით გაიმეტეს მათ ტაბატაძე მოსაკლავად, გამოძიებამ დღემდე არ იცის. განზრახ მკვლელობაში ბრალდებულებმა ვაშაძემ და ცეცხლაძემ ამასობაში გაქცევა მოახერხეს. მათ დღემდე ეძებენ.

გავრცელებული ინფორმაციით, ტაბატაძის დევნა აღნიშნული ფაქტის შემდეგაც არ შეწყვეტილა. "მართალია, მას დასახმარებლად პოლიცისთვის არ მიუმართავს, მაგრამ სისტემატურად ელოდა თავდასხმას და ამიტომ, სხვადასხვა მეთოდით თავსაც იცავდა," – ამბობენ სამართალდამცველები.

ზაზა ძნელაძის თქმით, გოჩა ტაბატაძე გუშინ აფეთქებისგან სწორედ მისმა სიფრთხილემ იხსნა. საკუთარ ავტომობილში – "გრანდჩეროკში" ჩაჯდომამდე მას მანქანა დაუთვალიერებია, საბარგულის ქვევით ავტომობილზე მიმაგრებული ცელოფანის პარკი აღმოუჩენია და მაშინვე უეჭვია, რომ "გრანდჩეროკზე" ასაფეთქებელი ნივთიერება იყო დამაგრებული.

ტაბატაძე არც ამ შემთხვევის შემდეგ დაუკავშირდა სამართლადმცველებს, მაგრამ შესაძლო ტერაქტის შესახებ პოლიციამ მაინც შეიტყო. ავტომობილის განაღმვის მიზნით, უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის წარმომადგენლებმა მანქანა გააუვნებელყვეს. იმერეთის სამხარეო პოლიციის უფროსის განცხადებით, "გრანდჩეროკში" აღმოჩნდა 200 გრამი ტროტილი, რომელიც საკმარისი იყო მანქანის ასაფეთქებლად. იმერეთის სამართალდამცველთა განცხადებით, მანქანაში ჩადებულ ნივთიერებას, აფეთქების შემთხვევაში, მიმდებარე შენობების დაზიანება არ შეეძლო. მიუხედავად ამისა, ანტიტერორისტული ცენტრის სპეციალისტებმა ახლომდებარე სახლებიდან მოსახლეობის ევაკუაცია მაინც მოახდინეს.

ზაზა ძნელაძის განცხადებით, ტაბატაძის აფეთქების სურვილი კვლავ ე.წ. ავტორიტეტებს შორის სფეროების გადანაწილებისთვის გარჩევის შედეგია, თუმცა კონკრეტულად რა ვერ გაიყვეს, იმერეთის პოლიციის უფროსისთვის ჯერჯერობით უცნობია. ამ პერიოდისთვის უცნობია დამნაშავეთა ვინაობაც. ძნელაძის თქმით, დამნაშავეთა დასახელება შეუძლია თავად დაზარალებულს, რომელიც კვლავ დუმილს არჩევს.

# ავტომობილების გამტაცებლები დააპატიმრეს

სამართალდამცველებმა გუშინ დააპატიმრეს ავტომობილების ორიგინალური მეთოდით გამტაცებლები - გელა ორაგველიძე და ვალერი არეშიძე. ისინი დიდუბეში, ავტომობილების ბაზრობაზევე არჩევდნენ მსხვერპლს.

როგორც დაკავებულებმა აღიარეს, ისინი შერჩეული მანქანის მძღოლს არწმუნებდნენ: თქვენი მანქანის ყიდვა გვინდა, მაგრამ ჯერ ბიძაჩვენმა უნდა ნახოსო. მანქანის გაყიდვის მსურველები ამ ანკესზე, თურმე, ადვილად ეგებოდნენ. გამტაცებლებს სასურველი მანქანა უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის მახლობლად, სტუდენტთა საერთო საცხოვრებელთან მიჰყავდათ. მეგობრები, თითქოსდა, ბიძის ჩამოსაყვანად სადარბაზოში შედიოდნენ - სიტუაციას ამოწმებდნენ, მერე გამოდიოდნენ, მძღოლს საფეთქელთან იარაღს ადებდნენ და ძვირფასეულობას და მანქანას ართმევდნენ. ამგვარი ტაქტიკით მანქანის გატაცებაზე ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციას პირველად - 1 მარტს მიხეილ ზვერევმა მიმართა, რომელსაც ავტომობილი "ფორდი" და ოქროს ბეჭედი წაართვეს. მეორედ – 8 მარტს პოლიციაში კახა ბასლანიძე მივიდა. მას "BMW", მობილური ტელეფონი და ოქრის ნივთები მოსტაცეს.

ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციის უფროსის, გოგი ნებიერიძის განცხადებით, ოპერატიული მუშაობის შემდეგ პოლიციამ აღნიშნულ დანაშაულში ეჭვი ვალერი არეშიძეზე მიიტანა.

გუშინ სამართალდამცველები ავტომობილების გამტაცებლებს დიდუბის ბაზრობაზე ჩაუსაფრდნენ. ტრადიციული მარშრუტის გავლის შემდეგ პოლიციელებმა გელა ორაგველიძე ლტოლვილთა საცხოვრებელთან იმ დროს დააკავეს, როდესაც მან "BMW"-ს გამყიდველს, იმნაიშვილს პისტოლეტი მიადო და მისთვის მანქანის წართმევას ცდილობდა. ნებიერიძის ინფორმაციით, არეშიძემ გაქცევა მოასწრო, მაგრამ სამართალდამცველებმა საღამოს მაინც დააკავეს.

რაიონის პოლიციის უფროსის განცხადებით, დღეისთვის ნაპოვნია ადრე გატაცებული ორივე ავტომობილი და ისინი პატრონებს დაუბრუნდათ.

ფოსტა

# თელაველი კაცის წერილი

"მამაჩემმა ალექსი კობიაშვილმა თელავში დამიტოვა სახლი, რომელსაც ისტორიული ძეგლის სტატუსი ოფიციალურად აქვს მინიჭებული. 1957 წელს ჩვენი სახლის ნახევარსარდაფში დროებით შეასახლეს მოქალაქე მარია კიაშკო, რომელსაც თავისი ბინა დაენგრა. ეს არ იყო საცხოვრებელი ფართი, მაგრამ მაშინდელ კომუნალურ სექციას რეზერვები არ აღმოაჩნდა და, არა უშავს, დროებით იყოსო. წლების განმავლობაში პრობლემები არ ყოფილა, მაგრამ მერე მან მომვლელის სტატუსით ჩაიწერა თავისი შვილიშვილი ნიკოლოზი. ნიკოლოზმა ცოლიც მოიყვანა და დაიწყო კიდეც ჩემს სახლში საფუძვლიანი დამკვიდრება. ისტორიული კედელი დაანგრიეს, ეზო გადაღობეს და მიშენებები დაიწყეს. საუკუნოვანი ჭა ნაგვით ამოავსეს და სისტემატური ლოთობა და ჩვენი ლანძღვა-გინებაც ზედ მიაყოლეს. მოთმინების ფიალა რომ ამევსო 2001 წელს, ვიჩივლე და სასამართლოზე შევიტყვე, რომ 1994 წელს ჩემი ნახევარსარდაფის უკანონო პრივატიზაციაც მოეხდინათ. ახლა ვითხოვ მათ გასახლებას. თელავში სახლი რომ არ ჰქონდეთ, არ მოვითხოვდი, მაგრამ კომკავშირის ქუჩაზე აქვთ 1200 კვ.მ. საკუთარი სახლი. ყველამ, ვისაც ეხებოდა - ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი, გამგეობის საბინაო მეურნეობა, ქალაქის ტექნიკური ბიურო - აღიარა, რომ პრივატიზაცია უკანონო იყო, მაგრამ სასამართლომ ყური არავის უგდო და ჩემი თხოვნა არ დააკმაყოფილა. ახლა სიმართლეს თბილისში ვეძებ და თქვენი გულისხმიერების იმედიც მაქვს."

ასეთია წერილის მოკლე შინაარსი. იმედს გამოვთქვამთ, რომ ავტორი სიმართლეს იპოვის.

# სიკეთე "აკადემიურად"

პირველი გვერდიდან

სხვა გზა არ არის, ისევ ინტერნატში ტოვებენ. ასე ცხოვრობენ ერთმანეთის მეზობლად 4 წლის მარიამი და 19 წლის ნინო.

დირექტორის თქმით, კეთილი ადამიანები ხშირად სტუმრობენ ინტერნატს და ფინანსურად ეხმარებიან. გუშინაც "აკადემიის" მოსწავლეების სტუმრობამდე მათთან იყვნენ თსუ-ს სტუდენტები, რომელთაც ასევე ბევრი საჩუქარი ჩაუტანეს ბავშვებს.

"აკადემიის" ამერიკელი დირექტორი, დონალდ თომასი გაოცებულია სკოლა-ინტერნატის დირექტორის, იქაური აღმზრდელების თავდადებით, რომლებიც, მცირე ანაზღაურების მიუხედავად, მაინც ახერხებენ, რომ "ბავშვებს ჰქონდეთ დაწკრიალებული ეზო-კარი და ნორმალური კვება. აქ მათ სულიერ აღზრდაზეც ზრუნავენ". თომასის აზრით, "ამერიკულმა აკადემიამ" მხოლოდ საუკეთესო განათლება კი არ უნდა მისცეს თავის მოსწავლეებს, არამედ ასწავლოს "სიკეთის, თანადგომის ქმნა. ბავშვებმა უნდა იცოდნენ, რომ გაჭირვებულს, თუნდაც სულ მცირედი, ერთი ლუკმა უნდა გაუყონ".

მასწავლებელთა სურვილია, მათი მოსწავლეები საქართველოს სხვადასხვა რეგიონის - სამაჩაბლოს, კოდორის ხეობის, საინგილოს, სამცხე-ჯავახეთის სკოლების ბავშვებს დაუკავშირდნენ და მათზე შეძლებისამებრ იზრუნონ, რათა გაამართლონ "აკადემიის" ემბლემაზე დაწერილი დევიზი - "განათლება და სიკეთე".



კანფეტი გინდათ?

# საკრებულომ სკოლის დირექტორებს ახალი სტატუსი მიანიჭა

*გუშინდელ სხდომაზე საკრებულომ "ბიუჯეტის დამტკიცების შემდგომ ნაბახუსევზე" (მიხეილ სააკაშვილის სიტყვებით) თბილისის სკოლების დირექტორებს ამაყად გამოუცხადა, რომ ამიერიდან ისინი მუნიციპალური სკოლების ხელმძღვანელები არიან. ასეთმა სტატუსმა ბევრი მათგანი ძალზე დააბნია.*

ნანა ქადაგიშვილი

დღემდე განათლების შესახებ კანონის 3 მოთხოვნიდან - სკოლების დებულების შექმნა, მათთვის სტატუსის მინიჭება და ლიცენზირება, სამინისტროს არც ერთი არ შეუსრულებია. ამის გამო, სკოლები აქამდე იურიდიულად არარსებულ დაწესებულებებად ითვლებოდა. საკრებულომ კი სკოლები იურიდიული სამართლის პირად გამოაცხადა. მას ამის უფლებას განათლების შესახებ კანონი და პრეზიდენტის 2002 წლის 15 აპრილის განკარგულება აძლევს. "ასე რომ, ამიერიდან თქვენ უკვე იურიდიულად არსებული დაწესებულების ხელმძღვანელები ხართ," – განუცხადეს სკოლის დირექტორებს საკრებულოში და გამოსაცდელ ვადად 2 წელი მისცეს. ისინი თანამდებობას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეინარჩუნებენ, თუკი ამ ორი წლის განმავლობაში მუნიციპალური სკოლის დებულების მოთხოვნებს პირნათლად შეასრულებენ.

მიუხედავად იმისა, რომ საკრებულოს ხელმძღვანელობამ მუნიციპალური სკოლის არსის განმარტებას არაერთი სხდომა და პრესკონფერენცია მიუძღვნა, პედაგოგებისთვის ბევრი რამ მაინც დაუკონკრეტებელი და გაურკვეველია. "თავის დროზე ჩვენ განათლების სამინისტრომ დაგვნიშნა, ახლა კი საკრებულომ იგივე თანამდებობაზე ხელახლა დაგვამტკიცა. საბოლოოდ, ვის გადაწყვეტილებას უნდა დავემორჩილოთ, ვინ იქნება ჩვენი დამცველი?" – კითხულობდნენ დაბნეული პედაგოგები. მიხეილ სააკაშვილმა კი დაამშვიდა, - თავიდან საკრებულოსა და შემდგომ სამეურვეო საბჭოს მიერ დანიშნულ სკოლის დირექტორს ალექსანდრე კარტოზია თითსაც ვერ დააკარებსო, და სრული განმარტებისთვის ისიც დაამატა, ჩვენ არავის ვემუქრებით, მაგრამ არამუნიციპალური სკოლა ქალაქის ბიუჯეტიდან თანხას ვერ მიიღებსო. "ნუ გეშინიათ, იმაზე უარესი არაფერი იქნება, რაც აქამდე იყო. როგორც თქვენ გინდათ, ყველაფერს ისე გადავწყვეტთ. მუნიციპალური სკოლის დებულებაში თქვენი შენიშვნები ხომ გავითვალისწინეთ. ვისაც ეს დებულება არ მოსწონს, საკუთარი ვარიანტი შემოგვთავაზოს. სკოლების შიდა ორგანიზაციულ საკითხებს თქვენ განაგებთ, ფინანსებს თქვენ განკარგავთ - სხვა რაღა გინდათ. თუ შეძლებთ, სკოლების კაპიტალური ხარჯებისთვის ბიუჯეტიდან განკუთვნილ თანხასაც თქვენივე განკარგულებაში გადმოვიტანთ - ჯობს თქვენ გქონდეთ, ვიდრე მერიას," – ყველანაირ დათმობაზე წავიდა სააკაშვილი.

ბოლო წინადადება სკოლის დირექტორთა ნაწილმა სიამოვნებით მიიღო. თუმცა, ზოგიერთ მათგანს არ დავიწყებია, რომ ფინანსების განკარგვას სპეციალისტი სჭირდება და სკოლის დირექტორები, პედაგოგები და მშობლები ამისთვის მზად არ არიან. ამასთან, სკოლებისთვის გამოყოფილ თანხას აქამდე თუ მერია ითვისებდა, გამორიცხული არ არის, ახლა სკოლის დირექტორებმა "შეიტყაპუნონ". 5 პედაგოგისა და 4 მშობლისგან შემდგარი სამეურვეო საბჭო ამ პროცესს ყოველთვის ვერ გააკონტროლებს, სხვა მაკონტროლებელი კი არავინ ჩანსო, - შიშობენ მუნიციპალური სკოლის მოწინააღმდეგე პედაგოგები. მომხრეებს კი მიაჩნიათ, რომ საკრებულოს დადგენილება მათთვის საუკეთესო შანსია, ბიუროკრატიის ჩარჩოებიდან გასათავისუფლებლად.

არის კიდევ ერთი პრობლემა, რაც პედაგოგთა ნაწილს განსაკუთრებით აშინებს, - ვაითუ, ჩვენმა ხელისუფლებამ მუნიციპალური სკოლები მთელს საქართველოში დააფუძნონ, მაშინ არაქართულ დასახლებებში არსებულ სკოლებში ცხვირსაც ველარ შევყოფთ - არაქართველი დირექტორები რასაც უნდათ, იმას გააკეთებენო.

# „დემოკრატიული" შაბათობა დგებუაძის ქუჩაზე

ეთერ მამულაშვილი

*"გაერთიანებული დემოკრატების" გასული წლის შემოდგომაზე დაწყებული აქცია, თბილისის დასუფთავება და კეთილმოწყობა, კვლავაც გრძელდება. ამჯერად დგებუაძის ქუჩის მაცხოვრებლებს გაუღიმათ ბედმა. "დემოკრატები" ძალისხმევას არ იშურებდნენ, რომ ამ ქუჩის მკვიდრთა გული მოეგოთ. ცოცხი, ნიჩაბი, საღებავები და ფოცხი გუშინდელი აქციის მთავარი ატრიბუტები იყო.*

პარტიის ძირითადი აქტივისტებიდან ქალაქის დაგვა-დასუფთავებისთვის გუშინ მხოლოდ გია ბარამიძემ და დავით ხუციშვილმა მოიცალეს. დგებუაძის, დაახლოებით, ასმეტრიანი ქუჩა რეკორდულად მცირე დროში მიალაგეს და გზადაგზა შემატებული ძალებით მეზობლად მდებარე სკვერში გადაინაცვლეს. ცოტა ხანში გამრჯე "დემოკრატებს" ქუჩის მაცხოვრებლებიც შეეშველნენ. სკვერი დიდი არ იყო, მაგრამ სამუშაო იქ გაცილებით მეტი აღმოჩნდა. ქუჩის მრავალფეროვანი "ასორტიმენტით" გავსებული საბჭოთა წარმოების ნაგვის დიდი სატვირთო მანქანა ნახევარ საათში ნაგავსაყრელისკენ დაიძრა.

ამის შემდეგ ახალმა თუ სტაჟიანმა "დემოკრატებმა" ცოცხები ცოტა ხნით კედელზე მიაყუდეს და მაკრატლები მოიმარჯვეს - მტვრით შელებილი და ფოთლებჩამოყრილი გაზონები გამოცდილი მებაღეების ოსტატობით გაკრიჭეს; სკვერში ნიკოლოზის დროს დარგულ ხეებს ძირები შემოუბარეს და ოფლიც მოიწმინდეს.

რამდენიმე წუთით შესვენების შემდეგ ხელები კვლავაც დაიკაპიწეს და მახლობლად მდებარე სათამაშო მოედანს ახალი ძალებით შეუტიეს.




შაბათობის ამაღლებული განწყობა

"უძრაობის" დროს აშენებული საბავშვო მოედანი ცოტა ხნის წინ საცოდავი სანახავი ყოფილა. როგორც იქაურებმა გვითხრეს, მოედანზე ასფალტი ალაგ-ალაგ ამოთხრილი იყო და ბურთის სათამაშოდ ჩასული ბავშვები სახლებში ჩალურჯებული თვალებითა და კოპებით ბრუნდებოდნენ.

სამი დღის წინ "დემოკრატებმა" მოედანზე ასფალტის საფარი სრულად აღადგინეს. გუშინ კი მოედნის ძელები, ბოძები და კედლები ყვითელ-მწვანე ფერებად შეღებეს. დგებუაძის ქუჩის მაცხოვრებლები ამბობდნენ, - "დღეის მერე ჩვენს ქუჩას კაცი ველარ იცნობსო".

მტკვრის მარჯვენა სანაპიროს (დგებუაძის ქუჩა სწორედ აქ მდებარეობს) მაცხოვრებელთა ერთი ნაწილი მოუთმენლად ელოდა ზურაბ ჟვანიასთან შეხვედრას - პარტიის თავმჯდომარის მოლოდინში მოხუც ქალბატონს "შავი დღისთვის" გადანახული ყუთი შოკოლადი და ერთი ბოთლი შამპანური ჩამოეტანა.

დღის ბოლოს "დემოკრატებმა" სამუშაო ხელსაწყოები მომავალ შაბათამდე ერთ დიდ ჩანთაში ჩაალაგეს და დგებუაძის ქუჩის მაცხოვრებლებს დიდი ხნის ნაცნობებივით დაემშვიდობნენ. პარტიაში იმედოვნებენ, რომ საპარლამენტო არჩევნებამდე თბილისის ყველა ქუჩის დალაგებას მოასწრებენ, არჩევნების შემდეგ კი მეორე წრეზე წავლენ.

# სოფო ჭყონია: „რაც „სან-სეტი" გაიხსნა, თეთრეულის შეძენის პრობლემა მომეხსნა"

## შთაბეჭდილებები "სან-სეტის" ახალი კოლექციის ჩვენებიდან


სოფო ჭყონია


ია კიწმარიშვილი - ჩვენების ორგანიზატორი


"იმიჯ ცენტრის" მოდელები

ვერა ნეფარიძე

სჭირდება თუ არა ქალს ლამაზი, ძვირადღირებული, მაგრამ ხარისხიანი თეთრეული; ან რამდენად გამართლებულია მის შესარჩევად დროის, ენერგიისა თუ ფულის ხარჯვა, - ძირითადად ამ თემებზე დისკუსიის ფონზე მიმდინარეობდა "აჭარა მიუზიკ ჰოლში" მაღაზია-სალონ "სან-სეტის" ახალი კოლექციის ჩვენება. დაგეგმილი საღამოც და მის გარშემო გამართული არაერთგვაროვანი მოსაზრებებიც მხოლოდ ერთ რამეზე მეტყველებდა – თბილისელები სიახლეს ძალიან ბუნებრივად შეხვდნენ. ხალხმრავლობაც ხომ ცნობისმყვარეობის გამოხატვის ძალიან ბუნებრივი მდგომარეობაა.

"აჭარა მიუზიკ ჰოლში" პირველი ჩვენება საკმაოდ წარმატებული გამოვიდა. გუშინწინ კლუბში "აჭარის" ტრადიციულ აუდიტორიას, საგანგებოდ კოლექციის ჩვენების სანახავად მისულთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი რაოდენობაც დაემატა და შედეგად, საკმაოდ მრავალფეროვანი საზოგადოება შეიკრიბა. ყველაზე თვალშისაცემი კი ალბათ ის იყო, რომ ქალის თეთრეულისა და საცურაო კოსტიუმების კოლექციის სანახავად თბილისელ მანდილოსნებს რაოდენობრივად მამაკაცები თუ არ სჭარბობდნენ, არც ჩამორჩებოდნენ. ასეთი მონდომების გასამართლებლად მათ სხვა მიზეზიც ჰქონდათ – ორგანიზატორებმა არც ისინი დატოვეს უყურადღებოდ და საგანგებოდ მათთვის მაღაზია "ნაიკის" სპორტული კოლექცია წარმოადგინეს. თუმცა, საბოლოოდ საღამომ მაინც ქალის თეთრეულისა და საცურაო კოსტიუმების კოლექციის ჩვენების ნიშნით ჩაიარა.

საღამო რამდენიმე ნაწილისგან შედგებოდა. თავიდან სააგენტო "იმიჯ-ცენტრის" გოგონებმა ფირმა "ტრიუმფის" ქალის ყოველდღიური თეთრეული და სპორტული სამოსი წარმოადგინეს (მათ შორის იყო ზალიკო ბერგერის დამზადებული სხვადასხვა აქსესუარები, ანი აბულაშვილის თავსაბურავები და თათა ვარდანაშვილის ფეხსაცმელი); "იმიჯ-ცენტრის" ბიჭები მამაკაცის სპორტული სამოსის ჩვენებისას გამოჩნდნენ პოდიუმზე, საღამოს ყველაზე პომპეზური ნაწილი კი, როგორც მოსალოდნელი იყო, ბოლოსკენ შემოინახეს. მართლაც, ფინალი, "ლა-პერლას" საკმაოდ დახვეწილი და ლამაზი თეთრეულის კოლექციის წარდგენა, საკმაოდ შთამბეჭდავი გამოვიდა. "აჭარა მიუზიკ ჰოლში" გამართული ჩვენებით კმაყოფილი დარჩა საზოგადოებაც. აქვე გთავაზობთ რამდენიმე მათგანის კომენტარს ღონისძიების შესახებ:

**გიორგი ამირეჯიბი, დიზაინერი**: "ძალიან საინტერესოა "ლა-პერლას" და სერიოზული ფირმების თეთრეულის ჩვენების ნახვა, იმიტომ, რომ ისინი პრინციპში ერთ-ერთი ყველაზე აღიარებული და მართლა კარგი ფირმებია მთელს მსოფლიოში. ძალიან კარგია, რომ თბილისში არსებობს მაღაზია, სადაც შეგიძლია ხარისხიანი და კარგი თეთრეული შეიძინო";

**ლელა წურწუმია, მომღერალი**: "ნებისმიერი ღონისძიება, რომელიც ადამიანის სიამოვნებას ემსახურება, ნამდვილად კარგია და მისასალმებელი. მე როგორც ვიცი, დღეს არის ქალის, ფირმა "ლა-პერლას" თეთრეულის ჩვენება. მომწონს "ლა-პერლა", ძალიან ლამაზია. ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის ქალის თეთრეულს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. თუმცა, ძალიან ბევრი ამბობს, ეს ხომ არ ჩანს, მაგრამ მე მსიამოვნებს. მე ხომ ვიცი, რა მაცვია და ეს თავისთავად, დადებითად მმუხტავს. არასდროს ვყოფილვარ "სან-სეტში", ძირითადად უცხოეთში ვყიდულობ ხოლმე. თუკი აქაც იქნება ხარისხიანი თეთრეულის არჩევანი, რა მნიშვნელობა აქვს სად იყიდი. სხვათა შორის, დაკვირვებული ვარ, საკმაოდ სერიოზული დეფიციტია ჩვენთან ქალის თეთრეულის. თუ იქნება არჩევანი, ძალიან მოხარული ვიქნები".

"ასეთი ჩვენებების ძალიან მომხრე ვარ, იმიტომ რომ, მთელ მსოფლიოში იმართება და საქართველოშიც უნდა დამკვიდრდეს. ქალისთვის მთავარია კარგი თეთრეული ეცვას და ასეთი მაღაზიები თუ ბევრი გაიხსნება თბილისში, მე პირადად ძალიან მოხარული და მათი ხშირი სტუმარიც ვიქნები. "სან-სეტში" ხშირად ვყიდულობ. რაც ეს მაღაზია გაიხსნა, მას შემდეგ თეთრეულის შეძენის პრობლემა მომეხსნა და საერთოდ, ლამაზი თეთრეული ქალის განუყოფელი ნაწილია. ასეთი მაღაზიები ბევრი უნდა გაიხსნას", - ჩვენების დაწყებამდე საკუთარი შთაბეჭდილებები გაგვიზიარა სამოდელო **სააგენტო AMCA-ის ხელმძღვანელმა სოფო ჭყონიამაც**.

# „გზა ვარსკვლავებისკენ" გავლილია

## კიდევ ერთხელ ქართველი მომღერლების ტრიუმფზე სანქტ-პეტერბურგში



ვერა ნეფარიძე

19-24 თებერვალს სანკტ-პეტერბურგში გამართულ კონკურს-ფესტივალს თბილისში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ამის მიზეზი კონკურსზე ახალგაზრდა ქართველ მომღერალთა სრული გამარჯვებაა – თბილისელები კონკურსიდან ყველა ძირითადი პრიზით დაბრუნდნენ. აქედან გამომდინარე, სრულიად გასაგებია ყველა მათგანის სურვილი - რაც შეიძლება მეტი თქვან კონკურსის შესახებ და გადმოგვცენ საკუთარი შთაბეჭდილებები. კონკურსის "გზა ვარსკვლავებისკენ" კიდევ ერთი თბილისელი გამარჯვებული 11 წლის ირაკლი ლომსაძეა. ირაკლიმ სანკტ-პეტერბურგში 12-დან 14 წლამდე ასაკის მონაწილეებს შორის პირველი ადგილი აიღო.

კონკურსს 15 ქვეყნიდან 267 მონაწილე ჰყავდა და ის პეტერბურგის 300 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ეგიდით განსაკუთრებულად, საზეიმო განწყობით გაიმართა. ჟიურის (რომელიც ყველა ქვეყნიდან თითო წარმომადგენლით იყო დაკომპლექტებული) გამარჯვებულები გრან-პრის (რომელიც თბილისელ სოფიკო გელოვანს ერგო) გარდა, ასაკობრივი დაჯგუფების მიხედვით უნდა შეერჩია. ასაკობრივი ჯგუფები კი ასე იყო განაწილებული: 12-დან 14-მდე, 14-დან 18 წლამდე (ამ ჯგუფში გამარჯვება ქეთა თოფურიამ მოიპოვა) და 18-დან 22 წლამდე.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად თბილისელ ირაკლი ლომსაძეს ერთადერთი პრობლემა ჰქონდა – იგი 12 წლის კონკურსის შემდეგ გახდებოდა. მაგრამ, კონკურსის ხელმძღვანელმა სერგეი სავენკოვმა ეს დეტალი უმნიშვნელოდ მიიჩნია და ქართველ მომღერალს წერილობითი თანხმობა მისცა მონაწილეობაზე. ირაკლიმ საკონკურსოდ ორი, ქართული და რუსული მუსიკალური ნომერი მოამზადა. "გადავწყვიტეთ გაგვეტანა ერთი უცხოური და ერთი ქართული ნომერი. ამიტომ შევარჩიეთ ლეონიდ აფანასიევის სიმღერა ძველი ზღაპრიდან, რომლის ინტერპრეტაციაც კომპოზიტორ ნანა გველესიანს ეკუთვნის. გვინდოდა, ორივე ნომერი დადგმული ყოფილიყო, რისთვისაც ირაკლის გარკვეული პლასტიკური მოძრაობების შესწავლა მოუხდა. რუსულენოვანი სიმღერის შესრულებისას ირაკლიმ ერთი ისეთი დეტალი გააკეთა ხალხური ცეკვიდან, რომ დარბაზი ტაშით შეეგება", - ყვება ირაკლი ლომსაძის პედაგოგი რუსუდან ჭიჭინაძე. რაც შეეხება ქართულენოვან საკონკურსო ნომერს, ის ქალაქურ მოტივებზე ქ-ნ რუსუდანის ინტერპრეტირებული კომპოზიციაა, რომლის არანჟირების ავტორიც ახალგაზრდა მუსიკოსი ზაზა ხუბუკელაშვილია. პლასტიკისა და მოძრაობის გაკვეთილები კი საკონკურსოდ ირაკლიმ პანტომიმის თეატრის წამყვან მსახიობთან ქეთი ქიტიაშვილთან გაიარა.

"სამი წლის იყო ირაკლი, როდესაც გავიცანი და "ჰარალეს" მღეროდა", - ამბობს ირაკლი ლომსაძის პედაგოგი, თუმცა ირაკლი მასთან საესტრადო სიმღერების შესასწავლად მოგვიანებით, რვა წლიდან მიიყვანეს. მანამდე ირაკლი ძმასთან, ამიკოსთან ერთად ხალხური სიმღერის ანსამბლ "მძლევარის" წევრი იყო. "იმის მიუხედავად, რომ ირაკლი ხალხურს მღეროდა, რასაც საესტრადოსგან განსხვავებული სიმღერის მანერა სჭირდება, მასთან მუშაობაში ოდნავი პრობლემაც არ მქონია. საერთოდ, აღტაცებული ვარ ამ ბავშვის ნიჭით და მგონია, რომ ირაკლი მაინც კლასიკას უნდა გაჰყვეს", - ამბობს რუსუდან გიორგაძე-ჭიჭინაძე. ალბათ, პედაგოგის ძალისხმევაა, რომ ირაკლი ახლა კონსერვატორიასთან არსებული ნიჭიერთა ათწლედის ვოკალურ კლასში სწავლობს და საკონცერტო ჯგუფის წევრიცაა. ამჟამად ირაკლი პედაგოგთან ერთად კლასიკურ ნომერზე, სავიოლინო კონცერტის ვოკალურ ინტერპრეტაციაზე მუშაობს. პატარა მომღერალს ცხრა კომპოზიცია აქვს ჩაწერილი. რეპერტუარი ასეთია: ვახტანგ კახიძის ნამუშევარი, ებრაული "იერუშალაიმი", ელვის პრესლის Love me Tender, დავით ტურიაშვილის კომპოზიცია, რომელსაც ირაკლი ლომსაძე დუეტში თამთა გოგუაძესთან ერთად მღერის.

სანკტ-პეტერბურგის კონკურსზე ირაკლი ლომსაძეს ჟიურის უმაღლესი შეფასებების გარდა, მაყურებელთა განსაკურებული მოწონებაც ხვდა წილად. მიიღო სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელთა მიწვევები საერთაშორისო ფესტივალებზე. პატარა მომღერალი ალბათ აგვისტო-სექტემბერში დაგეგმილ ესპანეთის საერთაშორისო კონკურსში მიიღებს მონაწილეობას. ფესტივალის, წარმოშობით ესტონელმა წარმომადგენელმა იმის გარდა, რომ გრან-პრის მფლობელი სოფიკო გელოვანი ოფიციალურად მიიწვია ამ ღონისძიებაში, ირაკლის და მის პედაგოგს ყველანაირი დახმარება აღუთქვა, ოღონდ კონკურსში მონაწილეობის სურვილი გამოეთქვათ. თავად ირაკლი კი იმდენად მოსწონებია, "თილისმად" წინაპრის ნაჩუქარი ქარვა უჩუქებია. ამჟამად ირაკლი ლომსაძე და მისი პედაგოგი მოსკოვიდან პოპულარულ გადაცემის Утренная звезда-ს ხელმძღვანელებისგან მოწვევას ელოდებიან. რაც შეეხება აქაურ სცენაზე ირაკლი ლომსაძის გამოჩენას, ის უახლოეს მომავალში ერთ-ერთ კოცერტზეა დაგეგმილი. პატარა მომღერალი ტექნიკური უნივესტიტეტის გუნდთან ერთად იმღერებს.

# პარნასელი ბირჟავიკები, გამგზავრება და მოლოდინი


გაგა ნახუცრიშვილი ავტოგრაფს გასცემს

თამარ სუხიშვილი

ყოველ შაბათ-კვირას უნივერსიტეტის მიდამოებში ახალგაზრდული პატარა "ბირჟები" გამოჩნდება ხოლმე: ერთი - პირველი კორპუსის ეზოს წინ, წყალთან, მეორე - მოპირდაპირე მხარეს, კაფე "ექსცესთან", ერთიც ყავის სახლთან და ა.შ. გაზაფხულის მოსვლასთან ერთად "ბირჟები" ნელნელა მომრავლდება ხოლმე... გუშინ სამი საათისთვის ჭავჭავაძის პროსპექტზე რომ ჩავიარე, წიგნის მაღაზია "პარნასის" სიახლოვესაც ხალხმრავლობა იყო, და მინდა გითხრათ, მართლა ძალიან გამიხარდა, როცა დავინახე, რომ ეს "პარნასის" გუნდი იყო და არა მოდური Coffee House-ის. "ბირჟავიკებს" ხელში ცელოფანის პარკები ეჭირათ პარნასის ნარინჯისფერი ლოგოთი, ოდნავ გამჭვირვალე პარკიდან კი გაგა ნახუცრიშვილის ლექსების ახალი კრებული მოჩანდა.

"გამგზავრება და მოლოდინი" - ასე ჰქვია გაგას ლექსების ახალ კრებულს, რომლის პრეზენტაციაც სამი დღის წინ - 13 მარტს კლუბ "სარდაფში" გაიმართა. შეგახსენებთ, რომ გაგა ნახუცრიშვილის ახალი წიგნი, ისევე როგორც პირველი ორი კრებული, გამომცემლობა "საარმა" (დირექტორი ლევან თითმერია) დასტამბა. გუშინ კი ახალგაზრდა პოეტი მაღაზია "პარნასში" მიიწვიეს, სადაც, უკვე "პარნასის" ჩვეულებისამებრ, დღის სამი საათიდან საღამოს შვიდ საათამდე მკითხველს შეეძლო გაგა ნახუცრიშვილსაც შეხვედროდა, წიგნიც შეეძინა და ავტორის ავტოგრაფიც მიეღო.

სადღაც ხუთის ნახევრისთვის გაგას რომ ჰკითხეს, რამდენ წიგნზე წააწერე ავტოგრაფიო, მხრები აიჩეჩა, არ დამითვლია, მაგრამ ბევრზე არა, შეიძლება ოცზე, შეიძლება ოცდაათზე ან ორმოცზეო. გუშინდელი ღონისძიებისთვის განსაკუთრებული რეკლამა არ გაუკეთებიათ, მხოლოდ პლაკატი გამოკიდეს მაღაზიის კარზე; ზედმეტები რა საჭიროა, მომსვლელი მოვაო, - ამბობდა გაგა ნახუცრიშვილი. მომსვლელი მართლაც მოვიდა. გაგა ნახუცრიშვილის პოეზიას ხომ ჩვენში კარგად იცნობენ და მკითხველებმა (განსაკუთრებით ახალგაზრდებმა) მისი გულწრფელი, ლაღი და რიტმული ლექსები უკვე შეიყვარეს კიდეც...

განსკუთრებული გუშინ "პარნასში" არაფერი მომხდარა, ავტორი მაღაზიის პირველ სართულზე საგანგებოდ დადგმულ მაგიდასთან იჯდა, ავტოგრაფის მსურველებს ღიმილით ეუბნებოდა: "სიამოვნებითო" და იქვე დაუზარელად წაუწერდა ავტოგრაფს: "სახსოვრად გაგასგან." მერე თვითონაც ათვალიერებდა თაროებზე შემოდებულ წიგნებს, მერე ვიღაცას გამოელაპარაკებოდა. ამასობაში ზემოთ მიკროფონს ამზადებდნენ, გაგას თავისი ლექსები რომ წაეკითხა. ხალხი კი მოდიოდა და მიდიოდა...

მომავალ კვირას "პარნასი" პოეტ რატი ამაღლობელს მოიწვევს, მანამდე კი მისი კრებულის პრეზენტაცია კლუბი "სარდაფის" ლიტერატურულ ხუთშაბათობაზე გაიმართება.

კალენდარი

# რეჟისორი, რომელიც არ ლაპარაკობს

## ბერნარდო ბერტოლუჩი



ბერნარდო ბერტოლუჩი, პარმაში დაბადებული იტალიელი რეჟისორი, დრამატურგი და პოეტი, თავისი პირველი პოეტური კრებულისთვის ვიარეჯოს პრემიის ლაურეატი გახდა – მაშინ ის 21 წლისა იყო. მანამდე, რომის უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე სწავლის პერიოდში, 16 მილიმეტრიან ფირზე ორი ფილმი გადაიღო – "საბაგირო გზა (1957) და "ღორის სიკვდილი" (1958). სწორედ იმხანად გაიცნო პიერ პაოლო პაზოლინიც.

პაზოლინისთან მეგობრობის წყალობით ბერტოლუჩი ფილმ "აკატონეს" გადაღებებზე რეჟისორის ასისტენტად მუშაობდა, და სწორედ თავის დიდი მასწავლებლის სტილში გადაიღო პირველი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი La Commare Secca, სოციოლოგიური რეპორტაჟი რომის სოციალური ფსკერის შესახებ. იმავე წელს, როცა პაზილინის "მათეს სახარება" გამოვიდა – 1964-ში – მან მეორე ფილმი გადაიღო, "რევოლუციის წინ", რომელშიც ბურჟუაზიული წრის წარმომადგენელი ყმაწვილის სულიერი განვითარების ამბავია მოყოლილი – იმხანად ამ სურათს იტალიელი ახალგაზრდობისთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.

თავის თეორია რეჟისორის როლის შესახებ ბერტოლუჩიმ შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: "ფილმის გადაღების დროს ადამიანს ისეთი შეგრძნება ეუფლება, თითქოს იალქნიან გემს მართავდეს. ზღვაში როცა გადიხარ, ქარს უნდა მიენდო, და ასევე უნდა მიენდო ფილმის გადაღებისას ყველა თანამშრომლის შემოქმედებას. მე სულ უფრო მეტად ვრწმუნდები, რომ ფილმი ერთი პიროვნების შემოქმედება არაა. მასზე, ვინც ფილმს იღებს, ანუ რეჟისორზე, ყოველთვის ყველაზე ბევრს ლაპარაკობენ, და თავიდან მეც მეგონა, რომ ის ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურაა. მაგრამ ახლა ის გამოცდილება შევიძინე, რომ ფილმი ბევრად უფრო მგრძნობიარე რამაა, ვიდრე კოდაკის ფირზე გადაღებული კადრები. გადაღებისას მხოლოდ კამერის წინ მდგომი მსახიობის გრძნობებს კი არა, ყველას გრძნობებს უნდა უყურადებდე, ვინც კი გარშემო ტრიალებს. ერთხელ ჟან რენოს შევხვდი, და მან მასწავლა: "გადაღებისას კარი ყოველთვის ღია უნდა დატოვო." ფილმის გადაღებისას ბევრი ლაპარაკი არაა საჭირო. ვინც ბევრს ლაპარაკობს, ფილმს ვერ გადაიღებს."

60-იანი წლების კონტესტაციის პერიოდში ბერტოლუჩიმ სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ტელეფილმი "ნავთობსადენი" გადაიღო, "არხის" გადაღება დაასრულა და ალმანახისთვის "სიყვარული და რისხვა" შექმნა მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი, "აგონია".

60-70-იანი წლების მიჯნაზე ბერტოლუჩი იტალიურ პოლიტიკურ კინოს მიემხრო. მისი ყველაზე ცნობილი და სკანდალური ფილმი, "პარიზის უკანასკნელი ტანგოც" 1972 წელს იყო გადაღებული – თანამედროვე სიყვარულის ტრაგედიის რომანტიული ვერსია, რომლის გმირიც მემარცხენე ბურჟუაზიის ცრუ პირობითობების მსხვერპლი ხდება. ფილმის ეკრანებზე გამოსვლამ მაყურებლისა და კრიტიკოსების არნახული რეაქცია გამოიწვია. ის ერთი ხანა აკრძალული იყო, თავად რეჟისორს დაპატიმრებით ემუქრებოდნენ და რამდენიმე წლით არჩევნებში მონაწილეობის უფლებაც კი ჩამოართვეს.

"მთვარისა" (1979) და "სასაცილო ადამიანის ტრაგედიის" (1981) გადაღების შემდეგ ბერტოლუჩიმ დიდი ხნით დაივიწყა იტალიური თემატიკა. ინგლისში გადასვლის შემდეგ მის შემოქმედებაში "კოსმოპოლიტური პერიოდი" დაიწყო: ჩინეთის ისტორიის მასალაზე დაყრდნობით მან "ჩინეთის უკანასკნელი იმპერატორი" გადაიღო, ფილმი, რომელმაც მსოფლიო აღიარება მოიპოვა. ამის შემდეგ ეკრანებზე გამოვიდა აფრიკული ფსიქოლოგიური დრამა, "ჩაი უდაბნოში" და ბუდიზმის ქრესტომატიული პოსტულატების ამსახველი "პატარა ბუდა".

რეჟისორი იტალიას მხოლოდ 15 წლის შემდეგ დაუბრუნდა – "მე მარტო ვცეკვავ" მისი საკუთარი შემოქმედების ძირითადი თემებისა და მოტივების ერთგვარი ანთოლოგიაა. "მე გრძნობითა და ახალი ცდუნებით შეპყრობილი დავუბრუნდი ჩემს სამშობლოს", განაცხადა რეჟისორმა.

**ბერნარდო ბერტოლუჩი** 1941 წლის 16 მარტს დაიბადა.

ქართულ ლიგაში გაწევრიანების მსურველებს გთხოვთ დაგვიკავშირდეთ შემდეგ ტელეფონებზე: 91-07-23; 91-07-45 ამ მობრძანდეთ შემდეგ მისამართზე: წერეთლის გამზირი 118 (ყოფილი "კოსმოსი"-ს შენობა) ყოველდღე 900-დან 2000-მდე.
"ქართული ლიგა" (საქართველოს ომის ვეტერანთა სამოქალაქო კავშირი)

თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
**ა ც ხ ა დ ე ბ ს**
სტუდენტთა მიღებას 2003-2004 სასწავლო წლისათვის.

ფაკულტეტზე მომავალი სტუდენტების მიღების პროცესი დასრულდება 2003 წლის 10 ივნისს.
ფაკულტეტზე ჩარიცხულ სტუდენტთა სია გამოქვეყნდება არა უგვიანეს ა.წ. 15 ივნისისა.
საბუთების მიიღება 2003-2004 სასწავლო წლისათვის დამთავრდება ა.წ. 15 მაისს.

მიღების წესები იხილეთ www. dphss.org ან მიაკითხეთ ინფორმაციისათვის ფილოსოფიის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამდივნოს.
**მისამართი:** თბილისი, ჭავჭავაძის 45, II სართული. ტელ. 223742

**ბალანსის**
შედგენა, აუდიტი-დასკვნა, დეკლარაციების შევსება.
**ფირმების რეგისტრაცია**
შ.პ.ს; კავშირი (არასამთავრობო), სადამფუძნებლო დოკუმენტაციის მომზადება, აუდიტორული დასკვნის გაცემა საწესდებო კაპიტალზე.
1 საათში. მოგემსახურებით ადგილზე
მის: კოსტავას 76. (სააკაძის მოედანთან). ტ: 33 73 54; 899-57 73 15; 877-71 18 22




## ბინები

### იყიდება

იყიდება ერთი ოთახი ალმაშენებლის 82-ში იტალიურ ეზოში I სართულზე, გამოდგება საოფისედ,. ფას: 5600$. ტელ: 34-06-65, 34-85-40, 899 266 221.

იყიდება ბუდაპეშტის ქ. 10-ში 2-ოთახიანი ბინა ლოჯიით, რემონტით, მე-5 სართ. ფასი 18 000. ტელ: 899 901729

**იყიდება 3-სართულიანი კერძო სახლი მცხეთაში, ფიქრის გორაზე - შიო მღვიმელის ქ. 4 - 600 კვ. მ. მიწის ნაკვეთით. არის ბუნებრივი აირი, ტელეფონი თბილისის ნომრით, საცურაო აუზი და ავტოფარეხი ორი ავტომობილისათვის. სახლი აშენებულია 1992 წელს. დარეკეთ ტელეფონზე: ტელ: 94-12-12, იკითხეთ ლია.**

იყიდება 2,5-ოთახიანი, არასტანდარტული სუფთა ბინა მე-6 სართულზე. 40 კვ.მ. მიშენებით ქვედა ბახტრიონზე, N22-ში. ფასი 24 000. ტელ: 38-32-50

იყიდება 2,5-იანი გარემონტებული სუფთა ბინა, რკინის კარით, პარკეტით, ბუნებრივი აირით, ორი აივნით, სათავსოებით, ორი სარდაფით, ავტოფარეხის ადგილით. ორხევი, მუხაძის 6/6, I სადარბაზო, III სართ., N7. ტელ: 76-87-48, 893 32-28-12, 893 20-75-91.

იყიდება 3-ოთახიანი ბინა ახალ აშენებულ სახლში, ყიფშიძის 7-ში. მე-5 სართული. 110 კვ.მ. ჭერი - 3 მ. ბინა - თეთრ რემონტამდე. ტელ: 8(77) 74 24 90

## მიწის ნაკვეთი

იყიდება კუმისში 600 კვ.მ. შემოღობილი ნაკვეთი სააგარაკო პატარა სახლით (31-ე ქარხნისთვის გამოყოფილი ნაკვეთები). ფასი 300 $. ტელ: 32 20 14

იყიდება ბაზალეთის ტბის პირას საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი შეთანხმებით. ტელ: 95-52-92.

## კომერც. ფართი

ვიქირავებ რესტორანს დიღმის გზაზე. ტელ: 95 21 46 (10-სთ-დან 17 სთ-მდე). იკითხეთ ირაკლი ან ნუგზარი

## ბინები

### ქირა, გირაო

**ქირავდება!**
სახლი ალმაშენებლის გამზ. №151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ.
ტელ: 37-28-77;
93-16-11; 899 539097

## მანქანები

**იყიდება !**
**ა/მ AUDI 90 Coupe GT. 1988 სპორტული, ოქროსფერი, ძრავი 2,3 ხუთცილინდრიანი, ტყავის სალონი, გიდრავლიკა, ლუქი. კარგ მდგომარეობაში. საწყისი ფასი 1500$**
**ტელ: 899 16 28 68**

## სწავლება

**ვამზადებ სტუდენტებსა და ექიმებს სასერტიფიკაციო გამოცდისთვის სპეციალობებში (ექიმი თერაპევტი, ზოგადი პროფილის ექიმი-მკურნალი). tel: 64-63-40, 893 282-559**

კვალიფიციური მასწავლებელი მოამზადებს I-V კლასის მოსწავლეებს ყველა საგანში. ტელ: 95 53 81 მედეა

მოვამზადებ რუსულში. ვასწავლი გრამატიკულ სალაპარაკო რუსულს. ტელ: 67 90 76, 67 00 25 ნანა

აიკიდოს შესწავლის მსურველები დაგვიკავშირდით: ტელ: 8(99) 96 33 54, 8(99) 98 01 89

ინგლისურს შეგასწავლით თარჯიმანი ოქსფორდის, კემბრიჯის და ამერიკული ლიტერატურით. ბიზნეს ინგლისური. უმოკლეს ვადაში თქვენი ამეტყველება გარანტირებულია. ტელ: 8(99) 19 11 64

ინგლისში სტაჟირებული პედაგოგი შეგასწავლით ინგლისურ ენას თქვენი მიზნების გათვალისწინებით. აგრეთვე, მიიღებთ კონსულტაციებს დიდ ბრიტანეთში სწავლა-განათლების შესახებ. ტელ: 95-20-34, 96-64-12, 893 219442.

შევასწავლი იტალიურ ენას ინდივიდუალურად. ტელ: 899 297717.

მოვამზადებ ფიზიკა-მათემატიკაში სკოლის მოსწავლეებს, აბიტურიენტებს, მოსამზადებლის სტუდენტებს. ტელ: 44 43 საღამოს, 61 29 76

## სხვადასხვა

**იყიდება Sony Playstation, ორიგინალი (შექმნილია გერმანიაში). 2 ჯოისტიკით, 2 Memory Card-ით და 30 სათამაშო დისკით. შესანიშნავ მდგომარეობაში. ფასი 150 დოლარი. ტელ: 877-400410**

**გინდ დაიჯერეთ გინდ არა!**
**მხოლოდ ჩვენი კომპანიის დახმარებით თქვენ გაგიჩნდათ რეალური შანსი. მიიღოთ მონაწილეობა, გრანდიოზულ, სოციალურ პროექტში, რომელიც მოქცემთ უფლებას უპროცენტო კრედიტის აღებაში. ცნობების მისაღებად დაგვიკავშირდით ტელეფონებზე:**
**53-14-72, 899 545809**
**სვეტლანა**

**იყიდება კომიუტერი Pentium I. ფასი 120$**
**ტელ: 30-56-90 ზურა.**

იყიდება რუმინული კედელი „კრისტინა" კარგ მდგომარეობაში. ფასი შეთანხმებით. ტელ: 78 28 55, 35 38 77, 8(93) 30 40 79

თქვენი კიბეების დიზაინი და მისი მოწყობა. ტელ: 22 06 22

სასწრაფოდ ვყიდი წაბლის მასალისაგან დამზადებულ კლეტკიან კარებს. ზომები 190X90. ჩიქოვანის მე-5 შესახვევი №7. ტელ: 38 18 64 ნანა

რკინის კარებები ყველაზე იაფად, სწრაფად და ხარისხიანად. ლითონის ნაკეთობები. ტელ: 96 00 32, 8(93) 39 79 07

გვესაჭიროება პროფესიონალი სტილისტები. მის: ტაბიძის 15, ტელ: 877 782494.

იყიდება სასადილო „მონა ლიზა". ტელ: 34 78 34

დავასაქმებთ ავტობუსიან მძღოლებს ქალაქის მარშრუტებზე. ტელ: 29 10 82, 22 48 20

საშუამავლო ფირმა „კახი-98" დაგეხმარებათ ბინების ყიდვა, გაყიდვა, გაქირავება, დაგირავებაში. ალმაშენებლის 72/2. ტელ: 23 70 91, 94 66 24, 8(77) 71 05 90




**კომპანია "InterCor .comServis" გთავაზობთ შემდეგი სახის კომპიუტერულ მომსახურებას:**
ინსტალაცია/მოწყობილობების გაუქმება, კომპიუტერის კონფიგურაცია კლიენტის მოთხოვნის შესაბამისად, სისტემის ოპტიმიზაცია, ინტერნეტში ჩართვა, ადგილობრივი ქსელების დაყენება და მომსახურება, მათი მუშაობის უზრუნველყოფა, ინდივიდუალური პროგრამების შედგენა. ყველა სამუშაო ჩატარდება ადგილზე, ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტის შემთხვევაშიც.
**ტელ: 92 17 74, 98 22 87, 92 02 49**

# აფიშა

## თეატრები

**ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი**
გაეტეანო დონიცეტი "სიყვარულის ნექტარი", ოპერა ორ მოქმედებად
დირიჟორი გელა ფარჩუკიძე
დას: 12:00 სთ

**მარჯანიშვილის თეატრი**
"მიტევების დღე", რეჟ. ქეთი დოლიძე
დას: 18:00 სთ; ფასი 3-5 ლარი

**თავისუფალი თეატრი**
კინომსახიობთა თეატრის სპექტაკლი
"ჯერ დაიხოცნენ მერე იქორწინეს", რეჟ. გოგი მარგველაშვილი
დას: 19:00 სთ, ფასი 3,5 ლარი

**თეატრალური სარდაფი**
"ინსტინქტი", რეჟ. ოთარ ეგაძე
დას: 20:00 სთ; ფასი 5 ლარი

**სამეფო უბნის თეატრი**
რუსთაველის თეატრის სპექტაკლი
"მერე რა, რომ სველია სველი იასამანი", რეჟ. რობერტ სტურუა
დას: 18:00 სთ; ფასი 4-7 ლარი

**ახმეტელის თეატრი**
"მეორედ მოსვლა ანუ ვიზიტი", რეჟ. დავით ანდღულაძე
დას: 18:00 სთ, ფასი 2,3 ლარი

## საგამოფენო დარბაზები

TMS
ანრი ბასილაიას პერსონალური გამოფენა
გახსნა 18:00 სთ

**„ქარვასლა„**
დავით იაკობაშვილის ფოტონამუშევრების გამოფენა
მაია ავალიშვილის პერსონალური გამოფენა

**უნივერსი**
გია გუგუშვილის (უმცროსი) ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**ეროვნული გალერეა**
თემო გოცაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა ნახატების გამოფენა**
გალერეის ოქროს ფონდის გამოფენა

**ორიენტი**
"კოლექციიდან კოლექციამდე 3", წარმოდგენილია ლადო გუდიაშვილის, ირაკლი ფარჯიანის, ელენე ახვლედიანის, დავით კაკაბაძის, ვალენტინ შერპილოვის, პეტერ ბლიტკინის და სხვათა ნამუშევრები კერძო კოლექციებიდან

N **გალერეა**
ვიდეოარტი "შავი ყუთი"

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
ხალხური რეწვა

## კინოთეატრები

**„ამირანი„**
"სიყვარულის ისტორია"
დას: 18:00; 20;00 ფასი 7,8 ლარი
"ზარი"
დას: 15:00; 22:00 სთ; ფასი 7,8 ლარი

**„ელისო„**
"მოახლე მანჰეტენიდან"
დას: 15:00; 19:00 სთ; ფასი 5 ლარი
"მოატყუო ყველა"
დას: 17:00 სთ; ფასი 5 ლარი
"სოლარისი"
დას: 21:00 სთ; ფასი 5 ლარი

**„რუსთაველი„**
"შპიონი ბავშვები 2"
დას: 15:00 სთ; ფასი 5 ლარი
"მოახლე მანჰეტენიდან"
დას: 17;00; 21:30; ფასი 5,7 ლარი
"სოლარისი"
დას: 19:00 სთ; ფასი 7 ლარი

# TV პროგრამა 16 მარტი

## რუსთავი - 2

08.00 მუსიკა
09.00 კურიერი
09.20 მულტსერიალი
10.50 სერიალი „ათასწლეული"
11.50 სიმფსონები
12.50 მხ.ფილმი
14.35 ველური ამბები
15.05 მხ. ფილმი
17.10 სერიალი „სახლი ძველ უბანში"
17.40 სერიალი „კოლომბო"
18.00, 00.40 კურიერი
18.20 სერიალი „კოლომბო"
19.00 მხ. ფილმი
21.00 60 წუთი
22.25 ჩვენი ეზო
22.40 „ჯეოსელის კინოკლუბი" - „ასა" 8 77 45-79-25 ტატიანა დრუბიჩი, ჯონ ლიტგოუ. „შემთხვევა მატარებელში" 8 77 45-79-26, ჟან-კლოდ ვანდამი, ლაურა ხერინგი. „გამიწიე სამსახური" 8 77 45-79-27 ორნელა მუტი.
00.50 მხ.ფ. „ალი" მთ. რ-ში: უილ სმიტი.
03.30 კლასიკა.

## პირველი არხი

08.00 მოამბე
08.15 მხ. ფილმი „გოროტმზრახველები როგორც ყოველთვის უცნობი დარჩნენ"
10.00 „დილის პაემანი"
11.05 „ამბები ჩვენზე"
11.35 მოგზაურობა სასიტყვეთში
12.05 „სპა"
12.35 „პრეს-სტუდია"
13.25 მოსკოვი-თბილისი
13.55 „ღამის ჯაზი"
14.25 არათბილისური ამბები
15.00 საინფორმაციო პროგრამა ინგლისურ ენაზე
15.15 სპექტაკლი „დარაბებს მიღმა გაზაფხულია"
16.55 მულტსერიალი „ბელფეგორი"
17.25 საკვირაო გამოფენა
17.40 ტელეზღაპარი
18.00 ტაიმ-აუტი
18.20 „სახსოვარი"
18.55 „ოქროს ვექტორი"
19.25 „ჩვენი მისამართია"
20.00 ტაიმ-აუტი
20.55 ტელესერიალი „72 საათი"
21.45 „ამბობენ"
22.15 ჩემი მშვენიერი ლედი
22.35 ქართ. ფილმი „დარიკო"
00.30 ტაიმ-აუტი
01.00 მხ. ფილმი „ცხოველური ბუნება"

## პირველი სტერეო

10.00 ტოროლა
13.00 განგ. უცხოური მუსათეული
14.00 სმს შოუ
17.00 ფილმი „ყველაფერი ბეწვამინებზე" მთ. როლ-ში აის კიუბი.
19.00 ინფორმატორი
19.15 ქართული მუსიკა
19.30 ვიდეორადიო
21.00 ქართული მუსათეული
22.00 ინფორმატორი
22.30 მუსიკა
23.00 აბა გამოიცანი მელოდია
00.00 ფილმი ბრავო „დროის მანქანა"
01.40 ფილმი ღამურა „მე ჯერ კიდევ ვიცი რა გააკეთეთ გასულ ზაფხულს"
03.45 პაუზის გარეშე

## მეორე არხი

19.00 მხიარული კარუსელი
19.30 დიზაინი
19.50 შეხვედრები ფიქრის გორაზე
20.30 საქართველოს მატიანე
21.00 დოკ. ფილმი „საუკუნის გიგანტები"
21.50 ვარსკვლავები გვამცნობენ
22.00 შვიდეული
23.00 მხ. ფილმი „სიკვდილი ჰოლივუდში" ჰიტპარადი

## იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი
08.20 ალსავალი
08.25, 10.15, 12.30, 21.55, 22.50 მუსიკა
08.30 ახალი ამბები
09.00 მხ. ფილმი „იჩქარე გიყვარდეს"
10.20 მულტფილმი
12.30 გადაცემა - მურადა (განმეორებით)
13.00 მუსიკალურ ტალღაზე
19.30 დოკ. ფილმი
20.00 მხ. ფილმი „მოკლა სმუჩი"
22.00 ტელე-სინე-ვიდეო
23.00 მხ.ფ. „ბოტანიკური გალი"
01.00 ღამის ფილმი

## ევრიკა

11.00 ცისკრის ზარები
11.05 ტელესერიალი „დაბრუნება ედენში"
12.00 თეატრალური შეხვედრები
13.25 თბილისური ოჯახები
14.10 მხ. ფილმი „ჩემი დედინაცვალი უცხოპლანეტელია"
16.00 - 18.00 რელიგიის საათი
18.00 დოკ. ფილმი
19.00 კითხვების კორიანტელი
19.20 მუსიკალური კოლაჟი
20.00 შეხვედრა ვარსვლავთან
20.20 მოგზაურობა გავშვობაში
20.40 თავისუფალი მიკროფონი
20.50 თქვენი აზრით
21.00 ტელესერიალი „დაბრუნება ედენში"
22.00 „იდენ-ტვ"
22.30 საოცარი პირამიდა
23.30 მხ. ფილმი „იურული პერიოდის პარკი-2"

## კავკასია

12.00 მხ. ფილმი „დიდი დედას სახლი"
13.30 მხ. ფილმი „პროექტი 281"
15.00 მხ. ფილმი „მკვდარი პოეტების საზოგადოება"
17.00 მხ. ფილმი „უკანასკნელი მოჰიკანი"
19.00 ინდ. მხ. ფილმი „პროფესიონალი"
22.00 მხ. ფილმი „მეხუთე ელემენტი"
00.20 მხ. ფილმი „ხალხი ლარი ფლინტის წინააღმდეგ"

## მეცხრე არხი

09.30 დღის ამბები
09.50, 11.50, 17.50, 18.25, 19.50, 21.50, 23.45 მუსიკა
10.00 მულტსერიალი „ალექსი"
10.30 მხ. სერიალი „ჰორასი და თინა"
11.00 გადაცემა „საუბრები სტუდიაში"
12.00 მულტფილმი „ფიფქია და შვიდი ჯუჯა"
13.10 დოკ. ფილმი „კეტრინ ჰეპბერნი. ყველაფერი ჩემს შესახებ"
14.45 „რეზო გაბრიაძის ნახატების არაჩვეულებრივი გამოფენა" მე-2 ნ.
15.15 მხ. ფილმი „რინგი"
17.00 მხ. ფილმი „შემცვლელი-2"
19.00 „ბელისიმო". ურმული.
19.30 გადაცემა „მსოფლიო ფეხბურთი"
20.00 „ოსტატები". მეარღნე.
20.40 დოკ. სერიალი „ფოტორობოტი"
22.00 მარიონეტების ფილმი „ყოჩაღები". „ქარტვა".
22.15 მხ. ფილმი „ძნელად ნაშოვნი ფული"
00.20 მხ. ფილმი „თავისუფალი ქვეყანა".

## აჭარა

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
08.20 დოკუმენტური ფილმი
09.00, 12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება
09.15 საბავშვო ფილმი „განძის მაძიებელნი"
11.00 „ყველანი ვართ პატარები"
11.10 „Слово"
12.10 „სამყარო მშვენიერია" გავშვები და ხელოვნება
12.20 ისტორიული ფილმი „სამყაროს შექმნა"
14.00 მელოდრამა „სიცოცხლე და მეტი არაფერი"
16.15 „სამყარო მშვენიერია" გავშვები და ხელოვნება
16.25 მულტფილმი
17.25 სათავგადასავლო დრამა „ჯილაგი" 2 ს.
19.30 „სამყარო მშვენიერია" გავშვები და ხელოვნება
19.40 მხატვრული ფილმი „ათი ზანგის ბიჭუნა" 2 ს.
20.55 ისტორიული ფილმი „კორინთოს დამპყრობი"
22.00, 00.00 „დღეს"
22.30, 00.30 „Новости в воскресенье"
22.50 „ქალბატონები" საავტორო გადაცემა
01.00 მელოდრამა „პროვინციული რომანი"
03.30 ისტორიული ფილმი „ზულუსები"

## VII არხი

16.10 მოგილურები
16.50 „ლა-ლა-ლა"
17.30 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
18.00 ევროპული ფეხბუთი
19.00 „აჩიკუდა"
20.00 ავტოტრეკინგი
20.40 „კინოკლუბი „ - „სიკვდილის ხაზი"
22.05 კომპიუტერული თამაშები
22.10 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი"
22.30 კომპიუტერული ტექნიკა
23.10 მელოდია
23.30 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი"
01.10 აუდიო-ვიდეო-ტელე

## ОРТ

08.00, 11.00, 15.00, 19.00 Новости
08.10 Сериал „Флиппер"
09.00 Док.сериал „Твинисы"
09.20 Служу России!
09.50 Дисней-клуб
10.15 В мире животных
11.10 „Непутевые заметки"
11.30 Пока все дома
12.10 Дог-шоу
12.55 „Клуб путешественников"
13.35 „Новый день", Вундеркинды
14.05 Биатлон. Чемпионат мира.
14.35 „Геркулес"
15.10 „Властелин вкуса"
16.05 Большие родители. Е. Евстигнеев
16.35 „Слабое звено"
17.35 „Ералаш"
18.05 Живая природа
19.00 Времена
20.10 Худ. фильм „КИТАЙСКИЙ СЕРВИЗ"
22.05 Худ. фильм „АФЕРА ТОМАСА КРАУНА"
00.15 Бокс. Роман Кармазин - Хорхе Араухо
00.50 Худ. фильм „ПРАВИЛА БОЯ"
02.05 Реальная музыка

## РТР

07.35 Худ. фильм „РАСПИСАНИЕ НА ЗАВТРА"
08.55 „Джуманджи"
09.20 Русское лото
10.05 „ТВ Бинго-шоу"
10.35 Вести-Москва
11.15 Утренний разговор
11.45 „Городок"
12.20 Худ. фильм „БАДДИ"
13.55 „ХА". Маленькие комедии
14.10 Парламентский час
15.00 Вести
15.20 Вокруг света
16.20 Диалоги о животных
17.20 Мир на грани
17.55 Комната смеха
18.55 Худ. фильм „ИСТОРИЯ О НАС"
20.50 В „Городке"
21.00 Вести недели
22.10 Специальный корреспондент
22.35 Юбилейний вечер Э. Рязанова
00.25 Худ.фильм „СПАСИ И СОХРАНИ"
02.30 Биатлон. Чемпионат мира.
03.25 Легкая атлетика. Чемпионат мира.

## НТВ

07.20 Худ.фильм „ГОЛУБОЕ ДЕРЕВО"
08.05 Полундра!
08.35 Вкусные истории
09.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 18.00, 20.00 Сегодня
09.05 Худ.фильм „УДИВИТЕЛЬНЫЕ ПРИКЛЮЧЕНИЯ ПАНДЫ"
10.25 „Шар удачи"
11.05 Бушующая планета
12.05 „Растительная жизнь"
12.35 „Вы будете смеяться"
13.05 „Влияние"
14.05 Детектив „ЗАЛОЖНИЦА"
14.50 Вкусные истории
16.05 Своя игра
17.20 „Истории охотника за крокодилами"
17.45 „Принцип домино"
19.05 „Новейшая история"
20.30 Худ. фильм „СЫЩИКИ" 2-я с.
21.35 Боевик „УНИВЕРСАЛЬНЫЙ СОЛДАТ"
23.35 Худ. фильм „ОХРАННИК ДЛЯ ДОЧЕРИ"
01.40 Сериал „КЛАН СОПРАНО"
02.35 Журнал лиги чемпионов
03.05 Ночь

*პროგრამები იბეჭდება მედიასთან ურთიერთობის სააგენტო "იმფოზავრის" ნებართვით*



მძლეოსნობა

# ჩემპიონისგან ჩემპიონის გამოძერწვას აპირებენ

ბიბა ბურასაშვილი

*ბირმინგემში მიმდინარე მძლეოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატი ჩვეული დაძაბულობით მიმდინარეობს. ერთადერთი მოულოდნელობა, თუ კი ამას შეიძლება მოულოდნელობა ვუწოდოთ, სპრინტერულ დისციპლინაში ვიხილეთ. 60 მეტრზე რბენაში მსოფლიოს ახალი გამგებელი მოევლინა, ბუნებრივია, ამერიკელი. ამავე დისციპლინაში ქალებში გაბრწყინებული, არც ახალია, არც ძველი. თუმცა კი, სადარბაზო ჩემპიონატის პირველი "ოქრო" დაიმსახურა. ჩემპიონი გამოვლინდა ბირთვის კვრასა და ხუთჭიდშიც.*


გატლინგი ფინიშზე.

მიუხედავად იმისა, რომ ზამთრის (ასეც უწოდებენ სადარბაზო ჩემპიონატებს) მსოფლიოს ჩემპიონატები ღია ცისქვეშა ასპარეზობებისგან განსხვავებით ნაკლებ პრეტიჟულადაა მიჩნეული, აქაც და იქაც ტიტული ერთი რანგისაა.

ამერიკის მიღმა პირველი გასვლა იღბლიანი გამოდგა ჯასტინ გატლინისთვის. გატლინმა 60 მეტრზე რბენაში, ჩემპიონატის მასპინძელთა დიდი სურვილის მიუხედავად, ბრიტანელები ახლოს არ გაიკარა და ფინიშის ხაზთან პირველი მიიჭრა. 6 წუთსა და 46 წამში ჩემპიონობასთან ერთად ამერიკელმა მომავლის სპრინტერის რეპუტაციაც გამოიმუშავა. აქამდე მოგუგუნე მასპინძლებს კი ისღა დარჩენოდათ დადუმებულიყვნენ და, შესაბამისად, მეორე-მესამე ადგილებზე გასული თანამემამულეების კიმ კოლინსისა და ჯეისონ გარდნერის შედეგით დაკმაყოფილებულიყვნენ. ამერიკელმა კი თავის მხრივ სპრინტერული დისციპლინის თანამემამულე დიდოსტატები მორის გრინი და ტიმ მონტგომერი რიდით, მაგრამ ამავე დროს ხმამაღალი განცხადებით დუელში გამოიწვია.

"ახლა მსოფლიოს დონის სტატუსი მაქვს. ეს ყველასთვის გაფრთხილება უნდა იყოს და არა მხოლოდ ტიმისა და მორისისა. ყველა მათგანს ვაფრთხილებ, რომ ვარსებობ და რომ მეც შემიძლია მსოფლიო დონეზე ასპარეზობა. ამას ყველას გასაგონად ვაცხადებ",- არ ხუმრობს ახლადგამომცხვარი ჩემპიონი.

ბუნებრივია, ამერიკელის გამარჯვებას ხელი შეუწყო გრინისა და მონტგომერის ბირმინგემში არ ყოფნამ, თორემ, არაა გამორიცხული პრიზიორთა სამეული სხვაგვარად დაკომპლექტებულიყო. ისე კი, ამომავალ ვარსკვლავს, როგორც ახლა უწოდებენ გეტლინს, 60 მეტრზე რბენაში აშშ-ის ეროვნულ ჩემპიონატზე მსოფლიოს რეკორდითაც (6,45) გამოუჩენია თავი. ასე რომ, ახლო მომავალში მისი სახით სამძლეოსნო სამყაროს ახალი მმართველი უნდა მოევლინოს.

საკუთარი შეგირდით ამაყობს ცნობილი მწვრთნელი ტიმ მონტგომერისა და მერიონ ჯონსის ყოფილი დამრიგებელი ტრევორ გრეჰემი: "ოლიმპიურ და მსოფლიოს ჩემპიონობისკენ მიმავალ გზაზე დღევანდელი დღე გარდამტეხი გახლდათ. ვფიქრობ, იგი საკუთარ სიძლიერეს წელს ზაფხულშიც დაამტკიცებს. მას არაფრის ეშინია. გეტლინს მამაცი გული აქვს. თუ კი ჯასტინის საუკეთესო თვისებებს გამოვავლენ, ორივე მათგანს (მონტგომერსა და გრინს გულისხმობს) დავამარცხებთ".

ვინაიდან ამერიკელმა მერიონ ჯონსმა ბირმინგემში ასპარეზობას საზაფხულო ჩემპიონატისთვის მზადება არჩია, თავიდანვე ნათელი იყო, რომ 60 მეტრზე რბენაში ქალთა შორის ჩემპიონობას ჯონსის უცილობელი მეტოქე უკრაინელი ჟანა პინტუსევიჩ-ბლოკი იზეიმებდა. ასეც მოხდა. უკრაინელის დამწევი ასპარეზობის პირველ დღეს არავინ აღმოჩნდა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ პინტუსევიჩ-ბლოკს სადარბაზო ჩემპიონატებზე 10 წელი არ უასპარეზია. ახლა კი გაბედა და ბირმინგემის უმთავრეს დარბაზშიც ირბინა, თანაც ბოლო ორი წლის განმავლობაში მეორე საუკეთესო შედეგითაც (7.04) გამოიჩინა თავი. რომ არაფერი ვთქვათ, სადარბაზო ჩემპიონატის პირველ ოქროს მედალზე. მეორე-მესამე ადგილები კი, ამერიკელებს – ანჯელა უილიამსსა და ტორი ედვარდსს დარჩათ.

ასპარეზობის პირველ დღეს სულ სამი ფინალი მოეწყო. აქედან ბოლო მათგანი ვაჟთა შორის ბირთვის კვრაში. ესპანელმა მანუელ მარტინესმა არაფრად ჩააგდო ტიტულის დასაცავად მებრძოლი ამერიკელი ჯონ გოდინა და ჩემპიონობაც ერთი სანტიმეტრის (21მ. 24სმ.) უპირატესობით ცხვირწინ აართვა. მესამეა უკრაინელი იური ბილონოგი.

ქალ ხუთჭიდელთა შორის, რომელიც 60 მეტრზე თარჯრბენს, სიმაღლეზე ხტომას, ბადროს ტყორცნას, სიგრძეზე ხტომასა და 800 მეტრზე რბენას ითვალისწინებს ქულათა მაქსიმუმს - 4, 933 შვედმა კაროლინა კლუფტმა მოუყარა თავი და ჩემპიონობაც იზეიმა. მეორე-მესამე ადგილები კი ბელორუსმა და ფრანგმა ხუთჭიდელებმა დაიკავეს.

ჩოგბურთი

# პირველად უილიამსების გარეშე

**ინდიანა უელსი. აშშ. ვაჟები. საპრიზო ფონდი 2 450 000 დოლარი. შარშანდელი ჩემპიონი ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია). მეოთხედფინალი:**

*ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია, 1) – რობი ჯინეპრი (აშშ) 6:4, 6:2*

*რაინერ შუტლერი (გერმანია, 15) – ენდი როდიკი (აშშ, 6) 6:3, 6:2*

*ვინსენტ სპეიდია (აშშ) – ბრაიან ვახეილი (აშშ) 6:3, 6:2*

*გუსტავო კუერტენი (ბრაზილია) – ჯეიმს ბლეიკი (აშშ) 4:6, 6:4, 6:0*

**ქალები. საპრიზო ფონდი 2 100 000 დოლარი. შარშანდელი ჩემპიონი დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი). ნახევარფინალი:**

*კიმ კლიისტერსი (ბელგია, 1) – კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი, 26) 6:3, 6:2*

*ლინდსეი დევენპორტი (აშშ, 4) – ჯენიფერ კაპრიატი (აშშ, 2) 6:4, 4:6, 6:4*


კიმ კრისტერსი.

ბოლო ორი წლის განმავლობაში პირველი შემთხვევაა, რომ დიდი საჩოგბურთო ტურნირის ქალთა ფინალი დები უილიამსების გარეშე ჩაივლის. ამ მხრივ ინდიანა უელსის წლევანდელი გათამაშება მეტად ორიგინალური აღმოჩნდა და ბევრისთვის სასიამოვნო სიურპრიზადაც გადაიქცა. ფრანგი ამელი მორესმო დიდი ხანია ამბობს, რომ დები უილიამსების მუდმივი გამარჯვებები ჩოგბურთის განვითარებას აფერხებს და უნდა გამოინახოს საშუალება, რომელიც ჩოგბურთს უფრო მრავალფეროვანს გახდის, ამიტომ ინდიანა უელსში გამარჯვების დიდი იმედი, შეიძლება ითქვას, სწორედ ამელი მორესმოს ჰქონდა, მაგრამ სურდო შეეყარა, ხმა წაერთვა და სამკურნალოდ შინ დაბრუნდა.

ფინალისკენ გზა კი ბელგიელმა კიმ კლიისტერსმა და ამერიკელმა ლინდსეი დევენპორტმა გაიკვლიეს. კლიისტერსი იოლად გაუსწორდა კონჩიტა მარტინესს. დევენპორტს კი თანამემამულე ჯენიფერ კაპრიატის დასამარცხებლად გვარიანი ოფლისღვრა მოუხდა. "გამიჭირდა, თუ არა, ამას ახლა დიდი მნიშვნელობა აღარ აქვს. მთავარია, რომ ფინალში გავედი და ტურნირის მოგების შანსი მაქვს. კიმ კლიისტერსი ძლიერი ჩოგბურთელია. მან ავსტრალიის ღია პირველობაზეც კარგად წარმოაჩინა თავი და ვფიქრობ მის წინააღმდეგ დაძაბული ფინალი მომელის" – მატჩის შემდეგ განაცხადა ლინდსეი დევენპორტმა.

მეტოქის შესახებ მაღალი აზრის იყო კიმ კლიისტერსიც. "არ მეგონა კონჩიტას ასე იოლად თუ გავუსწორდებოდი. თუმცა, როგორც არ უნდა ვთქვა, ეს ჩემთვის სასიამოვნო სიურპრიზი იყო. ალბათ, დღესდღეობით მე უკეთეს ფორმაში ვიმყოფები. რაც შეეხება ლინდსეი დევენპორტს მისი კვალიფიკაციის თაობაზე არაერთი გამარჯვება მეტყველებს და ბუნებრივია, რომ ფინალიც უაღრესად დაძაბული იქნება. ვეცდები ჩემი შანსი გამოვიყენო" – თქვა კლიისტერსმა.

ვიდრე ქალბატონები ერთმანეთს ქათინაურებით ამკობენ, ვაჟებმა მეოთხედფინალები დაასრულეს და ერთი მცირე სენსაციაც გამოაცხვეს. ტურნირის მე-5 ნომერმა რაინერ შუტლერმა ამერიკელი ენდი როდიკი დაამარცხა (6). საერთოდ ხუთი ამერიკელიდან საუკეთესო ოთხეულში მხოლოდ მხოლოდ ვინსენტ სპეიდია გავიდა, რომელმაც ბრაიან ვახეილს არ დაუტოვა შანსი.

რაც შეეხება ლეიტონ ჰიუიტს, ავსტრალიელი ამჯერადაც შეუდარებელი იყო და მეტოქეს მხოლოდ ექვსი გეიმის მოგების საშუალება მისცა. "ვფიქრობ ტურნირის მოგების შანსი წელსაც მაქვს. შესაძლო მეტოქეებიდან არავინ არის ისეთი ვისი დამარცხებაც შეუძლებელია" – განაცხადა ჰიუიტმა.

ფეხბურთი

# გერმანელი ტელემაყურებლის უკმაყოფილება

*ჩვენთან შედარებით გერმანელი სპორტის მოყვარულები ნამდვილად დაჩაგრულები არიან - გერმანიაში ჩემპიონთა ლიგის პირდაპირი ტელეტრანსლაციის ხილვა მხოლოდ ოთხშაბათობითაა შესაძლებელი, სამშაბათის მატჩს ტელევიზიით არ გადასცემენ. ვისაც თამაშის ყურება უნდა, იძულებულია, რომელიმე სპორტულ ბარს მიაშუროს და ხალხით სავსე, სიგარეტის კვამლით გაბოლილ დარბაზში უყუროს ამა თუ იმ შეხვედრას. სხვა ქვეყნის ჩემპიონატის ჩვენება ხომ საერთოდ აუხდენელი ოცნებაა. ვინ მოგცემს იმის საშუალებას, მშვიდად მოკალათდე ტელევიზორის წინ და სერია A-ს, ანდა პრემიერლიგის რომელიმე მატჩს ადევნო თვალი?*

ნინო პირველი

ამ მხრივ ქართველ ფანებს ნამდვილად გაუმართლათ - ჩემპიონთა ლიგასაც ორივე დღეს უყურებენ და, თუ უნდათ, არც პრიმერა დივიზიონის ან ბუნდესლიგის მატჩების ნახვაა დიდი პრობლემა. ხედავთ, რა მძიმე დღეში არიან გერმანელები? და არა მარტო გერმანელები. სხვათა შორის, ავსტრიაშიც ასეა. სამშაბათს, რაც უნდა საინტერესო მატჩი ყოფილიყო, ORF-ზე ვინ გაღირსებდა ფეხბურთის ნახვას. ავსტრიულ ტოტალიზატორ "ადმირალის" ბარებში ჯდომას კი ნამდვილად ყველაფერი ჯობდა. ერთხელ თურქი და ტუნისელი ფანები ისე უცენზუროდ იქცეოდნენ, კინაღამ გარეთ გავყარეთ. მეორედ მთელი ვენა შემოვირბინეთ და ვერსად ვნახეთ ბარი, სადაც "რომა"-"კიევის" მატჩის ნახვის საშუალება იქნებოდა. "მილან"-"რეალის" თამაში კი გამოვტოვეთ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ "ადმირალის" ვერც ერთ დარბაზში თავისუფალი სკამი ვერ ვიშოვეთ... მკაცრი ავსტრიული ზამთრის სუსხით სახეაწითლებულები, უიმედოდ ვაღებდით და ვხურავდით "ადმირალის" ბარების კარებს. იმ წუთებში გულწრფელად მშურდა ჩემი თანამემამულეებისა, რომლებიც მშვიდად და მყუდროდ ისხდნენ სავარძლებში, მილანელთა და მადრიდელთა პაექრობით ტკბებოდნენ და აზრადაც არ მოსდიოდათ, რა კომფორტში იყვნენ ჩვენთან შედარებით. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ფიზიკურად ძნელი იყო იმ საშინელ ყინვაში ტოტალიზატორიდან ტოტალიზატორში სირბილი...

ყოველთვის ასეა: ფეხბურთის მოყვარულს, ვინც სტადიონზე ვერ მიდის, ურჩევნია, მატჩი ტელევიზორში ნახოს და არა ბარში. RTL კი გერმანელ ფანებს ჩემპიონთა ლიგის ბოლო ტურის ისეთ მატჩს სთავაზობს, რომელიც არავის აინტერესებს. სამშაბათს დორტმუნდის "ბორუსია" უკვე მეოთხედფინალში გასულ "მილანთან" ატარებს ურთულეს მატჩს მეორე ადგილისთვის, ოთხშაბათს კი აბსოლუტურად უმოტივაციო ლევერკუზენის "ბაიერი" მილანის "ინტერს" ხვდება. ვის აინტერესებს გერმანიაში ეს თამაში? "ბაიერს" თავში ქვა უხლია - გინდ მოიგოს, გინდ წააგოს, მეოთხედფინალში მაინც ვერ გავა. აი, "ბორუსია" სხვა საქმეა. დორტმუნდელებს კიდევ აქვთ შანსი და "მილანთან" თამაშში თავს არ დაზოგავენ. რა თქმა უნდა, ეს მატჩი ბევრად საინტერესო იქნება, მაგრამ გერმანელები მას მხოლოდ მეორე დღეს ნახავენ, ჩაწერილს, რა თქმა უნდა. პირდაპირ ეთერში კი "ბაიერი" იქნება...

RTL-მა ჩემპიონთა ლიგის მატჩების ჩვენების უფლებისთვის სამოცი მილიონი ევრო გადაუხადა UEFA-ს სააგენტო "ტიმს". ტელეკომპანიას რომ მხოლოდ ერთი მატჩის ჩვენება შეუძლია, ესეც კონტრაქტითაა გათვალისწინებული და აქ არაფრის შეცვლა არ შეიძლება. "ბაიერის" თამაში არავის აინტერესებს, მაგრამ, ამის მიუხედავად, RTL-მა მატჩი მაინც უნდა აჩვენოს. "მატჩი რომ არ გადავცეთ, არ შეიძლება, - ამბობს ტელეკომპანიის საინფორმაციო დირექტორი ჰანს მარი, - ამ შეხვედრის პირდაპირ ეთერში გაშვება კონტრაქტითაა გათვალისწინებული. იმედია, ფეხბურთელები რეაბილიტირებას შეეცდებიან და არ მოუსმენენ თავიანთ მწვრთნელს, რომელიც უკვე წინასწარ ჩუქნის ყველას ქულებს", - თომას ჰიორსტერის სახელის ხსენებაც კი არ უნდა დირექტორს... საქმე ის არის, რომ "ბაიერის" მწვრთნელმა საჯაროდ განაცხადა, ლიგაში თამაშს აზრი აღარა აქვს. ამიტომ დარჩენილ მატჩებს მხოლოდ ფორმალურად ჩავატარებთ, მთელი ყურადღება გერმანიის ჩემპიონატზე უნდა გადავიტანოთო.

ბოლო მატჩი მხოლოდ "ინტერისთვისაა" მნიშვნელოვანი. თუ მასიმო მორატის გუნდი ვერ მოიგებს, მეოთხედფინალსაც დაემშვიდობება. "ბაიერს" კი მხოლოდ პრესტიჟის გამო მოეთხოვება, მილანელებს სერიოზული წინააღმდეგობის გაუწიოს - სხვა მოტივაცია შარშანდელ ფინალისტებს უკვე აღარა აქვთ.

RTL კი მომავალი სეზონიდან ჩემპიონთა ლიგის მატჩების ყიდვას აღარ აპირებს, რადგან მიაჩნია, რომ მოგებაზე მეტი ზარალი ნახა. გერმანელები რომ მთლად ევროპული ფეხბურთის გარეშე არ დარჩნენ, ამაზე აქედანვე ზრუნავენ სხვა ტელეკომპანიები, რომელთაც განზრახული აქვთ, რაც შეიძლება, საინტერესო მატჩები შეიძინონ და, რაც შეიძლება, იაფად...

ფეხბურთი

## კაპელო რომში რჩება

2001 წელს ფრანკო სენსის "რომა" იტალიის ჩემპიონი გახდა, 2002 წელს მეორე ადგილზე გავიდა და "სკუდეტომდე" მხოლოდ ერთი ქულა დააკლდა, 2003 წელს კი მოვლენები ისე ვითარდება, რომ შესაძლოა, რომაელები უეფას საგზურსაც კი ვერ შესწვდნენ-ფაბიო კაპელოს ამბციური გუნდი ჯერჯერობით მხოლოდ და მხოლოდ მერვე ადგილზეა და არც ჩემპიონთა ლიგაში აქვს საქმე კარგად. ლიგის ბოლო ტურში, რომში და ვალენსიაში ორმაგი სასწაული უნდა მოხდეს, რომ "რომა" მეოთხედფინალში გავიდეს.

ამდენი წარუმატებლობის შემდეგ, იტალიაში ჭორები გავრცელდა, რომ ფაბიო კაპელო "რომას" დატოვებას აპირებდა, მაგრამ როგორც გუშინ გაირკვა, რომაელთა დიდი სტრატეგი არსადაც არ აპირებს წასვლას.

" მე პატივს ვცემ "რომასთან" დადებულ კონტრაქტს და ვადაზე ადრე არ წავალ მარადიული ქალაქიდან. აქ თავს ძალიან კარგად ვგრძნობ, "რომა" შესანიშნავი გუნდია, მაგრამ უფრო უკეთესი იქნებოდა, თუ ფრანკო სენსი მომავალი სეზონისთვის ოთხ ახალ ფეხბუთელს შეიძენდა."-, განაცხადა კაპელომ " RAI 2"-სთვის მიცემულ ინტერვიუში.

## "ბაიერნი" რეკორდებისთვის იბრძვის

ჩემპიონთა ლიგიდან ნაადრევად გამოვარდნამ ის შედეგი გამოიღო, რომ მიუნხენის "ბაიერნმა" მთელი ყურადღება ბუნდესლიგაზე და გერმანიის თასზე გადაიტანა და ისე გაუტია, რომ დანარჩენი გუნდები უმოწყალოდ ჩამოიტოვა უკან.

დღეისათვის "ბაიერნი" პირველ ადგილზეა და მას ალბათ ვეღარავინ წაართმევს ჩემპიონის ტიტულს. გერმანელი ბუკმეკერები უკვე აღარ იღებენ ფსონებს "ბაიერნის" გაჩემპიონებაზე, ეს ხომ ისედაც დღესავით ნათელია. შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ მიუნხენელებს დღეისათვის არანაირი მოტივაცია აღარ აქვთ დარჩენილ ტურებში, მაგრამ ბავარიელთა თავკაცი ოტმარ ჰიტცფელდი სულაც არ არის ამ აზრის, რადგან კარგი თამაშისთვის ერთი მეტად ძლიერი მოტივაცია გააჩნიათ.

საქმე ისაა, რომ მიმდინარე სეზონში"ბაიერნს" სხვადასხვა სახის რეკორდების დამყარების შესანიშნავი შანსი ეძლევა. ოლივერ კანის 800 წუთიანი რეკორდის შემდეგ, კიდევ შეიძლება, წაუგებელ მატჩთა რეკორდი დამყარდეს, გატანილი და გაშვებული გოლების, რაც შეიძლება მეტი ქულების დაგროვების რეკორდები...

მოდით, დეტალურად განვიხილოთ, რამდენი და რა სახის რეკორდის დამყარება შეუძლია "ბაიერნს" :

1. ქულები - 1998-99 წლებში "ბაიერნმა" 78 ქულა მოაგროვა. ამჟამად ბავარიელებს 56 ქულა აქვთ და ძველი შედეგის გამეორებისთვის შვიდი გამარჯვება და ერთი ფრე სჭირდებათ.

2. სხვაობა მეტოქეთა შორის- 1972-73 წლებში "ბაიერნს" 20 ქულით ჰყავდა უახლოესი მდევარი ჩამოტოვებული. ჯერჯერობით "ბორუსიასა" და "ბაიერნს" შორის სხვაობა 13 ქულაა.

3. უსწრაფესი ჩემპიონი- 1972-73 წლებში "ბაიერნმა" და 1987-88 წლებში "ვერდერმა" 30-ე ტურში გაინაღდეს ჩემპიონის ტიტული. "ბაიერნს" წელს იგივეს გაკეთება 27-ე ტურში შეუძლია.

4. გაშვებული გოლების რაოდენობა- 2001-02 წლების სეზონში "ბაიერნმა" ცხრამეტი მატჩი ჩაატარა უგოლოდ. წელს მიუნხენელებმა თოთხმეტი მატჩის განმავლობაში მოახერხეს კარის მშრალად შენახვა.

5.მოგებულ მატჩთა სერია- 1981 წელს "ბაიერნს" ზედიზედ ცამეტი მატჩი ჰქონდა მოგებული. ამისთვის წელს ბავარიელებს დარჩენილი ათივე შეხვედრის მოგება სჭირდებათ.

6. ბურთების საუკეთესო შეფარდება- აქამდე ბავარიელთა რეკორდი 1973-74 წლების შედეგი იყო + 64, წლევანდელი მაჩვენებელი კი +37 გახლავთ.

მოკლედ, ბავრიელებს ჯერ კიდევ არ დაუკარგავთ თამაშის ინტერესი, იმდენი რამის გაკეთება შეუძლიათ დარჩენილ ტურებში. რა თქმა უნდა, ამ სავარაუდო რეკორდებიდან ყველა ვერ შესრულდება, მაგრამ ფეხბურთელებისთვის ბიძგის მისაცემად მაინც საკმარისია.

"ბაიერნი" უკვე ეიფორიაშია. მიუნხენელებს სერიოზული მდევარი აღარ ჰყავთ და მხოლოდ საკუთარ თავთან თუ დაიწყებენ ბრძოლას რაც შეიძლება მეტი რეკორდის დამყარებისთვის. " მართალია ძალიან წინ წავედით, მაგრამ შეჩერებას სულაც არ ვაპირებთ. ფანები ჩვენგან კარგ თამაშს მოელიან და უფლება არ გვაქვს, მათ იმედი გავუცრუოთ. თუ რეკორდებსაც დავამყარებთ, ამას რა სჯობია. ჩვენ მხოლოდ ერთი რამ გვინდა- ქულები და რეკორდები."-, დიდებაზე ოცნებობს ოტმარ ჰიტცფელდი.

## აუგენტალერს უმუშევრობა ემუქრება

აუტსაიდერ "ნიურნბერგის" ექსცენტრული მთავარი მწვრთნელი, კლაუს აუგენტალერი პოსტის დაკარგვის საფრთხის წინაშე დგას. თუ კვირას ბავარიული კლუბი საკმაოდ კარგ ფორმაში მყოფ ბერლინის "ჰერტას" ვერ მოუგებს, იტალია – 90-ის ჩემპიონი უმუშევარი დარჩება.

აუგენტალერი უკვე სამი წელია "ნიურნბერგის" თავკაცია. ამ ხნის განმავლობაში ბავარიელები ლამის ყოველი სეზონის ბოლოს ბუნდესლიგიდან გავარდნის კანდიდატები იყვნენ, მაგრამ თავის გადარჩენას მაინც როგორღაც ახერხებდნენ. წელს კი "ნიურნბერგს" ალბათ ძალიან გაუჭირდება უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება.

თუ კვირას "ნიურნბერგი" "ჰერტას" ვერ დასძლევს და "აუგეს" გუნდიდან გააგდებენ, აუტსაიდერი ბავარიელების ხელმძღვანელი ალბათ ვილჰელმ შააფი გახდება, რომელიც ადრე კამერუნის ეროვნულ ნაკრებს წვრთნიდა. შააფმა აფრიკელებს აზიურ მუნდიალზეც უწინამძღვრა, მაგრამ კამერუნელმა "ლომებმა" ევროპელების- გერმანიის და ირლანიის ნაკრებების კონკურენციას ვერ გაუძლეს და ჯგუფში ჩარჩნენ.

## ეს იყო 34 წლის წინათ...


1969 წლის 29 მარტი, ბერლინი.
ამხანაგური მატჩი - გდრ-იტალია (2:2)
იტალიის ნაკრების მეკარე დინო ძოფი.

# ეჭვიანი ქმრის გამო დაჩაგრული ფანატები



კაილი მინოუგის კვალდაკვალ, ვიქტორია ბეკჰემმა თავისი ძალების მოდის სამყაროში მოსინჯვა გადაწყვიტა. ამჟამად ის კომპანია Marks & Spencer-თან მოლაპარაკებებს აწარმოებს – საკუთარი თეთრეულის ხაზის გაშვება უნდა. ეს საქმე მომღერალს 1 მილიონ გირვანქა სტერლინგს მოუტანს.

ვიქტორიას მრავალრიცხოვან თაყვანისმცემლებს დიდი იმედი აქვთ, რომ თავიანთ მშვენიერ კერპს ქვედა საცვალში იხილავენ, მაგრამ, როგორც ჩანს, იმედის გაცრუება ელით – მომღერალმა განაცხადა, რომ თავისი ხელოვნების ნიმუშების მოდელობას არ აპირებს.

ვიქტორიას ასეთი გადაწყვეტილების მიზეზი ყველასთვის ნათელია – მისი მეუღლე, ფეხბურთელი დევიდ ბეკჰემი, ფრიად ეჭვიანი კაცი ბრძანდება. ბრიტანული გაზეთის, Sun-ის ჟურნალისტი ვიქტორიას მეგობრებს ესაუბრა, და აი, რა გაარკვია: "კაილი მინოუგისგან განსხვავებით, ვიქტორია საცვლების ამარა პოდიუმზე სირბილს არ აპირებს. მეგობრებს თვითონ უთხრა, ეს დევიდს არ მოეწონებაო."

# „იუნესკოს„ ნუსხაში შაოლინის მონასტერი შევა



ჩინეთის ტელევიზიით გადმოცემული ცნობის თანახმად, მთელს მსოფლიოში განთქმული ბუდისტური მონასტერი, შაოლინი, მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში იქნება შეტანილი. ამ თხოვნით "იუნესკოს" თავად მონასტერმა მიმართა.

ამჟამად პეკინში სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა სესია მიმდინარეობს, და უკვე მრავალი დელეგატის გამოსვლაში გაიჟღერა მოწოდებამ: "არ დავუშვათ, რომ ჩვენმა თაობამ მთელი კაცობრიობის კულტურული ფასეულობების მოსპობა შეძლოს!"

შაოლინის მონასტრის 1500 წლიან ისტორიას კომერციული მიზნებით იყენებენ. თავად მონასტრის წინამძღვრის, ჩინეთის ბუდიზმის ასოციაციის თავმჯდომარის მოადგილის, ში იუნსინის თქმით, "მონასტერი ტორტს დაემსგავსა, და ყველა ცდილობს, დიდი და გემრიელი ნაჭერი მოიჭრას".

განვითარებული ტურიზმის წყალობით, ჩინეთი ყოველწლიურად თითქმის 18 მილიარდ დოლარს იღებს. უცხოელებს მრავალი ისტორიული ღირსშესანიშნაობა იზიდავთ, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი მაინც შაოლინის მონასტერს უკავია, რომელიც ჩან ბუდიზმისა და განსაკუთრებული საბრძოლო ხელოვნების კერადაა ცნობილი.

ბრძენი კონფუცი ამბობდა: "მომზადების გარეშე ადამიანის საბრძოლველად გაშვება მის ღალატს ნიშნავსო". შაოლინი მებრძოლებს ამზადებს – აქ ყოველდღე 6 ღვთისმსახურება და 3 ვარჯიში ტარდება. მორჩილის გამოცდის ვადა ცხრა წელია. ეს ცხრა წელი მას ოსტატის ძირითადი მოძღვრების გასაგებად სჭირდება: გამონაკლისი გახდი, საერთო ადგილს ნუ დაიკავებ – ეგ ადგილი მტერს დაუთმე.,


# წამალი "სალხინო"
## ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.




# ბრიჯი

გურამ ბერიშვილი

სამაგიდო ინტელექტუალური თამაშის სამი ნაირსახეობა არსებობს. არსებობს თამაში, რომელშიც საწყისიც და მომდევნო პოზიციებიც გახსნილია. მოწინააღმდეგე მხარეები ხედავენ პოზიციებს და თამაში ღიად მიდის. ამ ტიპის ყველაზე ცნობილი სახეობაა ჭადრაკი. მეორე ტიპის თამაშშიც არ არის დაფარული პოზიციები, მაგრამ საწყისი პოზიცია არ არსებობს. სათამაშო დაფა ცარიელია და მოთამაშეები თანდათან ავსებენ დაფას ფიგურებით. ამგვარი თამაშის საუკეთესო ნიმუშია იაპონური თამაში გო. მესამე ტიპი - მოწინააღმდეგის პოზიცია ნაწილობრივ დაფარულია, ანუ მოთამაშე ხედავს მხოლოდ მის ნაწილს. ამგვარ თამაშებში უდაოდ საუკეთესოა ბრიჯი.

ბრიჯის მაგვარი, უფრო მარტივი თამაშებია ვისტი, პრეფერანსი, კინგი და ბევრი სხვა ამგვარი. საქართველოში ჭადრაკი საკმაოდ პოპულარულია. ეს ჩვენი ქალების განსაკუთრებულ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს. გო და ბრიჯი საგრძნობლად ჩამორჩება პოპულარობით ჭადრაკს, მაგრამ, გარწმუნებთ, მათ არანაკლები სიამოვნება შეუძლიათ, მიანიჭონ მოთამაშესაც და მაყურებელსაც. ბრიჯი იმითაა უფრო საინტერესო, რომ მოთამაშემ მარტო მომავალ სვლაზე არ უნდა იფიქროს, გადაწყვეტილების მიღებამდე უნდა შეეცადოს გაარკვიოს, როგორ არის განაწილებული კარტი მოთამაშეთა შორის, ანუ პოზიციაც გასარკვევია. ჭადრაკში და გოში კი პოზიცია თამაშის ყოველ ეტაპზე ყველასათვის ნათელია.

ბრიჯს მაგიდასთან ოთხი ადამიანი თამაშობს. ერთმანეთის პირდაპირ პარტნიორები სხედან, მარჯვნივ და მარცხნივ კი მოწინააღმდეგები, ორი ადამიანი შეთანხმებულად თამაშობს ორის წინააღმდეგ. პარტნიორებს შორის ვაჭრობის დროს ხდება კომუნიკაცია და შეთანხმება, ამიტომ დაარქვეს მას ეს სახელი (bridge ინგლისურად ხიდს ნიშნავს). ეს თამაში კონსტანტინოპოლის გარნიზონის ინგლისელმა ოფიცრებმა შექმნეს. ეს იყო ინგლისში გავრცელებული თამაში ვისტის მოდერნიზაცია. პირველი წიგნი ვისტის შესახებ დაიწერა ჯერ კიდევ 1742 წელს, ხოლო ბრიჯის დაბადების წლად ითვლება 1904 წელი. საერთოდ, კარტი და კარტით თამაში ჩინური გამოგონებაა, დაახლოებით ათასი წლის წინანდელი. ბრიჯი საკმაოდ გავრცელდა საფრანგეთში და ამერიკაში. მას დღევანდელი საბოლოო სახე მისცა Harold Vanderbilt-მა და Ely Culbertson-მა. 1928 წლიდან უკვე ტარდება სხვადასხვა ტურნირები და მსოფლიო ჩემპიონატები. ამ შეჯიბრებებში თავი გამოიჩინეს საფრანგეთის, იტალიის და ამერიკის ნაკრებმა გუნდებმა.

თბილისშიც, აგერ უკვე 20 წელზე მეტია, ტარდება ტურნირები. საქართველოს მოთამაშეებს მიღებული აქვთ რამდენიმე საერთაშორისო შეხვედრაში მონაწილეობა და არცთუ ურიგო შედეგით. უფრო დაწვრილებით ყველაფერზე შემდგომში ვისაუბრებთ.

ბრიჯის თაობაზე ბევრი წიგნი და ჟურნალი არსებობს. არსებობს ბრიჯის ენციკლოპედიაც. ჩვენს თანამემამულეებსაც აქვთ გამოქვეყნებული საკუთარი თეორიული მოსაზრებები. მათ შორის პირველი, დავით ვირსალაძის სტუდენტობის დროინდელი სტატიებია, როდესაც იგი ვენაში იყო.

ბრიჯის ამოცანები ქვეყნდება მსოფლიოს უამრავ გაზეთში. საქართველოში პირველად Новая газета-მ დაიწყო, შემდეგ რეზონანსმა გააგრძელა და ეს პუბლიკაციებიც ამ სერიათა გაგრძელებად შეიძლება ჩაითვალოს.

როგორც უკვე მოგახსენეთ, ბრიჯს ოთხი ადამიანი თამაშობს. 52 კარტი (სრული დასტა) თითო-თითოდ რიგდება ოთხივე მოთამაშეზე. ესე იგი თითოს 13 კარტი უჭირავს ხელში. თამაშში ორი ფაზაა, ვაჭრობა (აუქციონი) და გათამაშება. პირველი ფაზის დამთავრების შემდეგ ირკვევა თულფი (козырь) და შეკვეთა, ანუ ერთ-ერთი მხარის მიერ დადებული პირობა, თუ რამდენს აიღებს. მეორე ფაზა გათამაშებაა, ანუ დანაპირების რეალიზაციის მცდელობა. გათამაშება მიმდინარეობს, როგორც ბევრ სხვა თამაშში. დამწყები ჩამოდის ერთ კარტს, მისგან მარცხნივ მჯდომი ჩამოდის კარტს, აუცილებლად იგივე ფერისას (გაგახსენებთ, რომ კარტში ოთხი ფერია, ყვავი, გული, აგური და ჯვარი), თუ ფერი არა აქვს, მაშინ ნებისმიერ კარტს. შემდეგ ასევე იქცევა მისგან მარცხნივ მჯდომი და ბოლოს მეოთხე მოთამაშეც. ეს ოთხი კარტი შეადგენს ერთ აღებას და ეკუთვნის მას, ვისი კარტიც ყველაზე მაღალია საწყის ფერში (სხვა ფერი მხედველობაში არ მიიღება, თუ ამ ოთხ კარტში არ ურევია თულფი). თულფის შემთხვევაში აღება ეკუთვნის ყველაზე მაღალი თულფის ჩამომგდებს. შემდეგ სვლას ამღები იწყებს. ორივე პარტნიორის აღებულები ერთად ითვლება. თუ თავდაპირველი დაპირება შესრულდა, ანუ ორივემ ერთად აიღეს დაპირებული რაოდენობა, ისინი იღებენ გარკვეულ ქულებს (ამაზე შემდგომ). თუ დანაპირებს გადააჭარბეს, ქულები მეტია. თუ დანაპირებს დააკლდა, მაშინ მოწინააღმდეგე მხარე იღებს დანაკლისის მიხედვით ქულებს.

ყველაფერზე დაწვრილებით შემდგომში. ახლა კი მცირე ამოცანა.

გახსნილ კარტშიც კი ზოგჯერ ადვილი არ არის სწორი გადაწყვეტილების მიღება.

წარმოიდგინეთ, რომ მოთამაშეებს ხელში დარჩათ ეს კარტები

| | | |
|---|---|---|
| | ♠ K V 5 4<br>♣ - | |
| ♠ V 9 6<br>♣ - | | ♠ -<br>♣ 9 8 7 |
| | ♠ -<br>♣ K D 5 4 | |

თულფია გული. სვლა ქვემო მოთამაშისაა. ქვემომ და ზემომ ერთად შეუძლიათ აიღონ დარჩენილი 7 აღებიდან 5. როგორ?

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-24
20-00-24

სკანდინავიური კროსვორდი

